# ხელისუფლების გადაცემა — ხელოვნური დაბრკოლებების გარეშე!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 ოქტომბერი, 2012 წელი.

№192 (7068)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## ბიძინა ივანიშვილი: ისეთ დამეგობრებას, როგორიც ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის იყო, აღვკვეთავთ!



— ამის შესახებ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ბიზნესმენებთან შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა.

„ქართული ოცნების" ლიდერმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება არის პრიორიტეტი. ასევე, მისივე თქმით, პრიორიტეტია მცირე და საშუალო საწარმოების შექმნა, მათ შორის რძის და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების.

როგორც ივანიშვილმა განაცხადა, ბიზნესმა თვითონ უნდა მოძებნოს, სად, რომელ დარგშია პრიორიტეტული ინვესტიციების ჩადება. მისი თქმით, ბიზნესი ეძებს ასეთ გზებს. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, მას მზა ფორმულა არ აქვს, მაგრამ შეეცდება, სამეცნიერო ჯგუფებთან ერთად გააკეთოს და მოიძიოს აღნიშნული სფეროები.

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, წინა ხელისუფლებამ მიუღებელი ურთიერთობა დაამყარა ბიზნესთან. მისი თქმით, ხელისუფლება ბიზნესთან კი არ უნდა მეგობრობდეს, არამედ უნდა უსმენდეს მას.

„რაც უფრო შორს იქნება ხელისუფლება ბიზნესისგან, მით უფრო უკეთესი იქნება", — განაცხადა ივანიშვილმა. მისი თქმით, ბიზნესმენები ხელისუფლებას უნდა ესაუბრებოდნენ არსებულ საჭიროებებზე და არა დამეგობრებაზე.

ივანიშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც რუსეთში სუფთა ბიზნესის გაკეთების პრეცედენტი შექმნა, მას არ გააკარა კრიმინალები.

„იგივეა ჩინოვნიკები და არავითარი დახმარება არ უნდა მიიღონ ბიზნესმენებმა მათგან", — განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ შეიქმნება ორგანო, რომლის საშუალებითაც, ბიზნესს შეეძლება ოფიციალური წინადადებებით მიმართოს მთავრობას.

### ბიძინა ივანიშვილი ახალი მთავრობის შემადგენლობას 8 ოქტომბერს დაასახელებს

**კოალიცია „ქართული ოცნება" მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობას 8 ოქტომბერს დაასახელებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განუცხადა და განმარტა, რომ მანამდე მთავრობის შემადგენლობის საკუთარ პროექტს გუნდის წევრებთან შეაჯერებს.**

„ხვალ და ზეგ მე ჩემი გუნდის წევრებს გავაცნობ მინისტრთა კაბინეტის ჩემს პროექტს. ალბათ, ის ნაწილობრივ შეიცვლება, რადგან მარტო არ ვიღებ ხოლმე გადაწყვეტილებებს. ორშაბათს უკვე მთელი მთავრობის შემადგენლობას გაგაცნობთ", — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ჯერ კიდევ მოქმედ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველა მინისტრი და მოადგილეების ნაწილი შეიცვლება.

„მინისტრი ყველა შეიცვლება, მოადგილეები შეიძლება ბევრი დარჩეს, უფრო ქვევით არ ვაპირებთ წასვლას, თუ არ არის სპეციალური შემთხვევა. რაც შეეხება საჯარო მოხელეებს, ყველა შეინარჩუნებს თანამდებობას", — აღნიშნა ივანიშვილმა.


### ბიუჯეტი სპიკერის ოჯახისთვის

### ერთ თვეში 10 ათასი ლარისა რა ილაპარაკეს?!. 4

### თეატრი — ერთ-ერთი მძლავრი ოპოზიცია! 6

### ირმა ინაშვილი ვლადიმერ ბედუკაძეს უპასუხებს 5

### 7 ვინ აგებს პასუხს, თუკი საქართველოში დანაშაული იმატა?

ჩქარი სვლით — მომავლისკენ!

# ბიძინა ივანიშვილი:

# ევროპა — აი, ჩვენი არჩევანი

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა „ფორბსის“ რუსულ გამოცემას ინტერვიუ მისცა, რომელშიც არჩევნებში გამარჯვების შემდეგ საკუთარი გეგმების შესახებ ისაუბრა**



**— რა ფუნქცია გააჩნია თქვენ მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფს, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციასთან იმუშავებს?**

— ამ ჯგუფის შემადგენლობა ცვალებადია (ახლა მასში სამი ადამიანია - რესპუბლიკური პარტიისა და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერები დავით უსუფაშვილი და ირაკლი ალასანია და ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილი) და მისი შემადგენლობა და ფუნქციები შეიძლება შეიცვალოს. სააკაშვილის ადმინისტრაციასთან პირველი შეხვედრების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა. მთავარია, თავიდან ავიცილოთ ძალაუფლების გადაცემის ვაკუუმი - ისინი მიდიან, ჩვენ მოვდივართ და გვსურს, იმ ხნის განმავლობაში, სანამ ისინი ოფიციალურად და არაოფიციალურად მაინც სახელისუფლებო ძალას წარმოადგენენ, ჩვენ კი მათ შესაცვლელად ვემზადებით, ქვეყანაში არ იყოს დაბნეულობა და სტრესი.

**— „ჩემთვის ფუნდამენტურად მიუღებელია კოალიცია „ქართული ოცნების“ ხედვა და ჩვენ შორის ღრმა განსხვავებები არსებობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი მოსაზრებები ყოვლად მცდარია“, — ასე დაახასიათა პრეზიდენტმა თქვენი კოალიცია უკვე მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა არჩევნების შედეგები. ხომ არ ფიქრობთ, რომ მასთან ურთიერთობა გაგიძნელდებათ?**

— ყველაზე მეტად მომეწონა განცხადება, რომ პრეზიდენტი არ ეთანხმება ჩვენს იდეოლოგიას. პრინციპში, ეს მართლაც ასეა — ჩვენ შეუთავსებელნი ვართ სწორედ იდეოლოგიის კუთხით. ის ფაქტი, რომ იგი არ ეთანხმება ჩვენს მოსაზრებებს, გამოვლინდა მის თითოეულ მოქმედებაში და კარგია, რომ მან ეს აღიარა. დიახ, ჩვენ გვინდა ნამდვილი, არაფასადური დემოკრატია, შესაბამისად, ჩვენი მოქმედებები იქნება განსხვავებული იმ მოქმედებებისგან, რომელთაც ადგილი ჰქონდა მისი მმართველობის პერიოდში.

**— თქვენმა სიტყვებმა იმის შესახებ, რომ ამ სიტუაციაში ყველაზე ლოგიკური სააკაშვილის გადადგომა იქნებოდა, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ჰპოვეს. კონკრეტულად რა იგულისხმეთ?**

— პირადად მე და ჩვენმა კოალიციამ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო, რათა მას შეენარჩუნებინა პოლიტიკური სახე. ჩვენ ისე სუფთად, იუველირულად ჩავატარეთ საარჩევნო კამპანია, რომ მას სხვა გზა არ ქონდა გარდა იმისა, რომ ეღიარებინა არჩევნების შედეგები. მიუხედავად იმისა, ბევრი (მათ შორის მეც) არ იყო დარწმუნებული, რომ მას შეეძლო ამის გაკეთება.

რაც შეეხება გადადგომას, არ მინდა და არ ვაპირებ, მას ეს ვაიძულო. მან ერთხელ უკვე შეძლო ეღიარებინა დამარცხება, ეს მისი მხრიდან გმირული საქციელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. შესაბამისად, მან მოახერხა ნაწილობრივ შეენარჩუნებინა სახე და, რაც მთავარია, ეს კარგია ჩვენი ქვეყნისა და დემოკრატიის მომავლისათვის, იმისათვის, რომ აღარ დაგვჭირდეს რევოლუციების მოწყობა.

ჩვენ ყოველნაირად შევეცდებით მასთან მუშაობას, თუ, რა თქმა უნდა, იგი ამას შეძლებს. როდესაც ვსაუბრობდი გადადგომაზე, მე ვგულისხმობდი შესაძლო კონსტიტუციური კონფლიქტის თავიდან აცილებას, რაც ძალაუფლების ორი წყაროს არსებობაში გამოიხატებოდა. მაგრამ ეს არ არის შეთავაზება და, რა თქმა უნდა, არ არის ულტიმატუმი. მიუხედავად იმისა, ეს მართლაც იქნებოდა საუკეთესო დასასრული.

**— როგორც ვხედავ, ხორციელდება პირველი ნაწილი თქვენი გეგმისა - ერთი წლის განმავლობაში ოპოზიციაში ყოფნა და შემდგომ ხელისუფლებაში მოსვლა. ახლა იწყება მეორე ფაზა — დარჩეთ ხელისუფლებაში ორი წლის განმავლობაში. სხვათა შორის, რატომ ორი და არა ოთხი წელი, როგორც საარჩევნო ციკლი ითვალისწინებს?**

— დავაზუსტებ: მაქსიმუმ ორი წელიწადი. ვფიქრობ, ასეთია მაქსიმალური ვადა, რომლის განმავლობაშიც მოვახერხებ ყველაფერ აუცილებელს: კონსტიტუციის წესრიგში მოყვანას, კანონების იმგვარად შეცვლას, რომ ისინი ასახავდნენ ქვეყნის რეალურ სტრატეგიასა და განვითარების მიმართულებას. სასამართლოებისა და მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა, პოლიტიკისა და პოლიცია-პროკურატურის განცალკევება და ა.შ. ორ წელიწადში შეიძლება ყველაფერ ამის მოსწრება, ისევე როგორც კარგი გუნდის ჩამოყალიბება. მინიმუმ — წელიწადი, მაქსიმუმ — ორი.

**— მითხარით პატიოსნად, გაქვთ წარმოდგენა, რა მემკვიდრეობას იღებთ?**

— დიახ.

**— და როგორ შეაფასებდით მას?**

— როგორც ძალიან ცუდს. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. უფრო კონკრეტულად კი ამაზე მაშინ გეტყვით, როცა შევალთ ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკში... მე ვფიქრობ, რომ მათ რიცხვები ჰაერიდან მოაქვთ და რეალობა კი სულ სხვაგვარია. ძალიან ძნელი იქნება წელს ბიუჯეტის შევსება. გასულ წელსაც კი იგი ძირითადად გრანტების და სესხების ხარჯზე ივსებოდა. სრულ პასუხს მიიღებთ, როდესაც ჩვენ ფინანსურ ბლოკში საკუთარ ხალხს შევიყვანთ. თუ ბიუჯეტთან დაკავშირებით ყველაფერი მეტ-ნაკლებად ნორმალურად დაგვხვდა, მაშინ არც ისე ცუდად ყოფილა საქმე. თუმცა, სააკაშვილმა და მისმა კომპანიამ თითქმის ყველა მიმართულებაში დაუშვეს მნიშვნელოვანი შეცდომები: სოფლის მეურნეობის დარგში, ჯანმრთელობის, განათლების, მეცნიერების სფეროებში... ყველგან.

**— წინა მთავრობის რომელ იდეებსა და პროექტებზე იტყვით უარს?**

— ასე ზუსტად ჩამოთვლა გამიძნელდება. ეკონომიკური კანონების უმრავლესობა რიგზეა, უბრალოდ მათ არავინ იცავს. ჩვენთვის არ არის პრინციპული გავანადგუროთ ყველაფერი, რაც მათ შექმნეს. პრაქტიკული საჭიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პროექტს არ შევცვლით. მთავარია — კანონის უზენაესობა დავაბრუნოთ.

**— როგორ?**

— პირველ რიგში, კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს — ის უბრალო ჩასაწერ წიგნაკად გადააქციეს და აუცილებელია მისი წესრიგში მოყვანა. ასევე ბევრი სხვა კანონიც, ამაზე უკვე მუშაობენ სხვადასხვა თემატური ჯგუფები.

**— პროექტები? მაგალითად, ლაზიკის მშენებლობა?**

— ეს პროექტები კი არა, ანეკდოტებია. მე მათ სწორედ ანეკდოტებს ვუწოდებ: ქალაქი ლაზიკა, ტანკი ლაზიკა, ბეტეერი ლაზიკა — არც ერთ მათგანს სერიოზულად, რა თქმა უნდა, არავინ აღიქვამს. ეს უბრალოდ სასაცილოა.

**— თქვენ საქართველოს მთავრობასთან დავა გაქვთ საინვესტიციო დავების საერთაშორისო სასამართლოში, რომელიც დაფუძნებულია ვაშინგტონში. დღეს, თქვენ უკვე ხელისუფლებაში ხართ. როგორ მოგვარდება ეს პრობლემა ახლა, როდესაც ვითარება ძირეულად შეიცვალა?**

— კარგი კითხვაა, თუმცა მე ჯერ ჯეროვნად არ დავფიქრებულვარ ამაზე. თუ საარბიტრაჟო სასამართლომდე შევძლებთ ყველაფერ ამის მოგვარებას — ჩვენივე ქვეყნის ფარგლებში — პროცესი, რა თქმა უნდა, შეწყდება, თუ არა — დაე საარბიტრაჟო სასამართლომ გადაწყვიტოს. მახსოვს, როგორ მესხმოდნენ თავს იმის გამო, თითქოს მე ჩემი ქვეყნის გაძარცვა მსურს და ა.შ. მაშინაც განვაცხადე და ახლაც ვიმეორებ, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და ყველაფერი, რისი წართმევაც უკანონოდ მოხდა, უკან უნდა დაბრუნდეს.

**— თქვენ უკვე გამოაცხადეთ, რომ პირველად აშშ-ს ეწვევით. რა არის ეს - სიმბოლო, სიგნალი თუ გარემოებათა თანხვედრა?**

— ვფიქრობ, ეს ლოგიკურია. მთელი ამ ხნის განმავლობაში — არჩევნების წინ, საარჩევნო პერიოდში და შემდეგ გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამერიკელებმა, რომელმაც დაიკავეს ძალიან პრინციპული პოზიცია. და არა მხოლოდ არჩევნების დროს — მათ მრავალი ინვესტიცია ჩადეს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის. სააკაშვილმა ყველაფერი ეს ქარს გაატანა, მაგრამ მე ნამდვილად მწადია, შევინარჩუნო და გავაღრმავო ეს თანამშრომლობა.

ამასთანავე, ჩვენ, რა თქმა უნდა, მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ევროპასთან და, რა თქმა უნდა, ჩვენი ყველაზე დიდი გამოწვევაა — ურთიერთობების გაუმჯობესება რუსეთთან.

მე მესმის, რომ ამ მხრივ ბევრი კითხვა ისმება და ხშირად გვესმის, რომ ნატო და რუსეთი არ არიან თავსებადი, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც შევძლებთ საერთო ენის გამონახვას და იმის დამტკიცებას, რომ ეს შესაძლებელია.

**— რუსეთის ხელისუფლებასთან, თქვენ, ალბათ, გქონდათ ურთიერთობა, როდესაც ცხოვრობდით და მოღვაწეობდით რუსეთში, მაგრამ ახლა თქვენ პოლიტიკოსი ხართ — ლიდერი გამარჯვებული კოალიციისა სხვა ქვეყანაში. როგორ მოიაზრებთ თქვენს ურთიერთობას პუტინთან და მედვედევთან?**

— მე პირადად პუტინს ან მედვედევს არასოდეს არ შევხვედრივარ, თუმცა, ვფიქრობ, რომ ვალდებული ვარ ყველაფერი გავაკეთო, რათა შესაძლებელი გახდეს რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება, რათა ხელი შევუწყო ამას. თუ რა გამოგვივა, გამოჩნდება, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ყველაფერი გამოვა.

მე ბევრი მეგობარი მყავს რუსეთში და ვიცნობ იქაურ ბიზნესგარემოს, ინტელექტუალებს, მეცნიერებს (იქ სადოქტორო დავიცავი და საერთოდ ძალიან კარგად ვიცნობ ამ წრეებს). ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, ახლო კულტურა გვაქვს, საუკუნეების განმავლობაში ერთად ვცხოვრობდით, გვყავს ბევრი კულტურული მოღვაწე, რომლებიც ერთმანეთს ელოდებიან და ურთმანეთოდ ნაღვლობენ.

საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია რუსეთის ბაზარიც. ვფიქრობ, რომ პირველ ეტაპზე, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, უნდა აღდგეს მინიმუმ კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები. მე მესმის, რომ ჩვენი ურთიერთობები ჩიხში შევიდა, მაგრამ უნდა გამოვიდეთ ამ ჩიხიდან.

**— ეს არ იქნება ადვილი...**

— მესმის, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის იმის მიზეზი, რომ ხელები ჩამოვუშვათ. არაერთხელ მითქვამს, რომ მთავარი ბრალი ამ დაძაბული ურთიერთობის წარმოქმნაში პრეზიდენტ სააკაშვილს მიუძღვის, მისმა ომამდელმა რიტორიკამ განაპირობა საზღვრების დახურვა, შემდეგ კი ამას აგვისტოს ომიც მოჰყვა, რომლის შესახებაც ჩემი მოსაზრებები მას ასე არ მოსწონს, მაგრამ მე ჩემს აზრზე ვრჩები: რომ არა მისი ავანტიურა, ეს არ მოხდებოდა.

**— პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ომისთვის მზადება გაცილებით ადრე დაიწყო.**

— ჰო, მე ხშირად მესმის, რომ აი, ივანიშვილი ამბობს ასე და მედვედევი და პუტინი კი თვითონვე აღიარებენ, რომ ომისთვის მზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყეს. რამდენიმე წელი კი არა, უკვე რამდენიმე საუკუნეა რუსეთი კავკასიის ულელტეხილის გადმოსალახავად ემზადება. და ყოველ ჯერზე მე მიწევს განვმარტო, რომ ეს გეოპოლიტიკური ინტერესებია და ისინი არა მხოლოდ რუსეთს გააჩნია. ბევრ დიდ ქვეყანას აქვს ასეთივე დიდი მადა, ისინი მეზობლის ტერიტორიებს „ეზმანებიან“.

მე არ მინდა, რომ დავასახელო ჩვენი სხვა მეზობლებიც, მაგრამ ისტორიას თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ მცდელობები მრავლად იყო და ყველაზე იშვიათად სწორედ რუსეთისგან. შესაბამისად, როდესაც პატარა, დაუცველი სახელმწიფოს ლიდერი ხარ, აუცილებელია სწორი პოლიტიკისა და ქცევის წესის შემუშავება.

მე არ ვამართლებ რუსეთს, მაგრამ პირველ რიგში პასუხი საკუთარ თავს, საკუთარ მთავრობას უნდა მოვთხოვოთ. არ შეიძლება ასე ბრიყვულად მოიქცე, კისერი წაიტეხო და მერე დაიწყო იმით პროვოცირება, თუ ვინ, რამდენ ხანს და რისთვის ემზადებოდა.

**— ასეთი პოზიციის გამო თქვენ ხშირად პრორუსულ პოლიტიკოსს გიწოდებენ.**

— რუსულმა მხარემ გამოავლინა უზარმაზარი აგრესია, რაც ძალზე სამწუხარო და მიუტევებელია. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დრო გავიდა, ტკივილი და ჭრილობები ისევ გვრჩება. მაგრამ ორივე მხარე უნდა ვეცადოთ ჩიხიდან გამოსვლას და ხელი შევუწყოთ ურთიერთობების მოწესრიგებას.

**— თქვენ ახსენეთ რუსული ბაზარი და სავაჭრო ურთიერთობები. მზად ხართ, მეგზურობა გაუწიოთ საქართველოში შემომავალ რუსულ ინვესტიციებს?**

— სიამოვნებით, როგორც რუსულ, ისევე ნებისმიერ სხვა საინვესტიციო პოლიტიკას ჩემი მხრივ დიდი მხარდაჭერა ექნება და მე მზად ვარ, ჩემი პირადი კაპიტალით შევიტანო წვლილი ამაში.

სხვათა შორის, მე უკვე მქონდა ამის მცდელობა წარსულში: შავი ზღვის სანაპიროზე 1,5 კმ მიწის ნაკვეთი შევიძინე, ამოვაშრე მყრალი ჭაობი, გავაკეთილშობილე გარემო, საუკეთესო ადგილზე ევკალიპტის და პალმის ბაღები აშენდა, დაიწყო მოლაპარაკებები ტურისტულ სააგენტოებთან (სააკაშვილმა იცოდა ამის შესახებ). მზად ვიყავი გადამეხადა 75% პროექტის ღირებულებისა, რათა ვინმე დაინტერესებულიყო და ჩემი პარტნიორი გამხდარიყო. იგეგმებოდა სასტუმროების აშენება რუსი ტურისტებისათვის, რათა ისინი ჩამოსულიყვნენ და დაესვენათ საქართველოში, მაგრამ ჯერ სამხედრო რიტორიკა დაიწყო, მერე ომი და პროექტი გაიყინა.

**— და რა დააინტერესებთ რუს ინვესტორებს საქართველოში? ოცი პოსტსაბჭოთა წლის განმავლობაში, მათ უკვე ბევრი რამ ნახეს, ბევრიც შეიძინეს. რას შესთავაზებთ მათ?**

— ვფიქრობ, რჩება ნოსტალგიური განწყობა. პირველ რიგში, ჩემი თაობისათვის, შესაძლოა, ცოტა უფრო ძველი თაობისა და ცოტა უფრო ახალგაზრდებისთვისაც. წარმოიდგინეთ: მხოლოდ 2 საათის ფრენა, რუსებს კი უფრო ახლოს არაფერი აქვთ: ჩვენ გვაქვს ზღვა, მთა, ძალიან საინტერესო ბუნება და კულტურა. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ამ პროცესის განვითარებას და პრობლემების გადაჭრას.

**— თქვენ გაყიდეთ თქვენი ბიზნესი რუსეთში. დაგრჩათ კონტაქტები ყოფილ პარტნიორებთან?**

## ◉ ჩქარი სვლით — მომავლისკენ!

— მე ყველასთან მქონდა კარგი ურთიერთობა, მაშინაც კი, როცა სხვადასხვა ბიზნესჯგუფებს შორის ომები იყო გაჩაღებული. მე ვიყავი გამონაკლისი: ჩემი სტრუქტურები ამაში მონაწილეობას არ იღებდნენ. არ ვომობდით არავისთან, ყველასთან გვქონდა სუფთა და მეგობრული ურთიერთობები, თუმცაღა ბოლო 10 წლის განმავლობაში მე აღარ ვყოფილვარ რუსეთში, და ეს დაღს ასვამს ჩვენს ურთიერთობას: თითქმის დავივიწყეთ ერთმანეთი, მაგრამ ახლაც დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი ბევრ მათგანს.

**— და ვინ გაუძღვება ახლა თქვენს ბიზნესს? კონსტიტუციით თქვენ მონაწილეობას ველარ მიიღებთ ამ პროცესში.**

— მე უკვე თითქმის ჩამოვშორდი ამ პროცესს. პოლიტიკაში მოსვლამდეც კი ნაკლებად ვერეოდი მართვაში. ძირითადად ამას უძღვებოდნენ და გაუძღვებიან ლიკვიდირებადი მსხვილი ბანკები, სადაც მე ფული მაქვს დაბანდებული, თანხა კი ბირჟაზე ტრიალებს.

**— წარმატებული ბიზნესმენეჯერი იყავით, მაგრამ ახლა მოგიწევთ ეფექტური სახელმწიფო მოღვაწე გახდეთ. როგორ მიიჩნევთ, გაგიჭირდებათ გადაწყობა?**

— მე უკვე ბევრი რამ ვისწავლე, წელიწადი არ არის მცირე პერიოდი. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად ეს ყველაფერი ძალიან მეუცხოებოდა: პოლიტიკოსები და ბიზნესმენები სხვადასხვა ყაიდის ხალხი არიან. ბიზნესელიტა სრულიად სხვა საქმეა და თუ არა ეს ერთწლიანი გამოცდილება, მე, ალბათ, სერიოზულად დავეჭვდებოდი, ძალმედვა ეს თუ არა. თავდაპირველად ძალზე გამიჭირდა მენეჯმენტის პრინციპების პოლიტიკური გარემოში დანერგვა, ზოგჯერ იმედსაც ვკარგავდი. თუმცა, ვფიქრობ, ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე და შევძლებ, კარგი მთავრობა ჩამოვაყალიბო.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ რუსეთში დაახლოებით ათას ქართული წარმოშობის მილიონერს ითვლიან. გაქვთ თუ არა ამ რესურსიდან დახმარების იმედი?**

— დიახ, თუმცა მე ამას დახმარებას არ დავარქმევდი. ეს იქნება ურთიერთპატივისცემა, ორმხრივი პროცესი ისეთი გარემოს შესაქმნელად, რომელიც მათ დააინტერესებთ. არა მარტო რუსეთიდან - ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან ასევე ველით ინტერესსა და ინვესტორების მოდინებას. მე მზად ვარ, მათ საკუთარი სახსრებითაც დავეხმარო.

**— ხშირად საუბრობთ საკუთარი სახსრებით ინვესტირებაზე. რას გულისხმობთ ამაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ გსურთ დაიკავოთ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობა?**

— მე არ ვაპირებ განცალკევებით ინვესტირებას. მაგრამ თუ ბიზნესს (დიდის, საშუალოს ან პატარასძ სურს შევიდეს ქვეყანაში და ადგილობრივი ბიზნესი ცდილობს, შემომსვლელთან ერთად გაიზიაროს რისკები, უცხოური ინვესტორი, რომელიც არ იცნობს



ქვეყანას, გაცილებით დაიმედებული და აქტიური ხდება. მე ამ პროექტის განხორციელებას ჯერ კიდევ 90-იან წლებში ბანკი „ქართუს“ მეშვეობით ვაპირებდი და მას აუცილებლად დავუბრუნდები. ინვესტორებს კვლავაც შევთავაზებ მიწასა და პარტნიორობას, ოღონდ საქმე ადგილიდან დაიძრას.

**— როგორ აპირებთ ამის რეალიზებას?**

— ისევ და ისევ აუცილებელია შეიქმნას პირობები, რაც მოიზიდავს კაპიტალს, ყოველგვარი ხელოვნური საშუალებების გარეშე. იგივე რუსი ტურისტები გადაეჩვივნენ ჩვენს კურორტებს, ჩვენ მოვხვდით უმკაცრესი კონკურენციის პირობებში, მათ კი იპოვეს უკეთესი ადგილები: თურქეთი, სადაც ეს სიიაფეა და მომსახურებაც უკეთესია, კვიპროსი, საფრანგეთი, ესპანეთი, და ა.შ. ძალიან რთულია მათთვის კონკურენციის გაწევა. ამისათვის ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენ შევეცდებით, ჩვენი გავიტანოთ.

**— კონკურენტები თქვენს პროგრამას ხშირად სოციალისტურს უწოდებენ.**

— დიახ, და შემდეგ კი ჩამოწერეს და გადაწერეს ჩვენი დაპირებები, გაამრავლეს ოთხზე და თავიანთ პროგრამად წარადგინეს. სინამდვილეში მე ლიბერალი ვარ და ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ავაშენოთ ქვეყანა, რომელიც ლიბერალურ ეკონომიკასა და, სოციალურ სოლიდარობაზე იქნება დაფუძნებული.

**— ერთი წლის წინათ, თქვენ შესახებ საქართველოში არც ისე ბევრმა იცოდა, ახლა კი მილიონზე მეტმა ადამიანმა მოგცათ ხმა. მთლიანად შეიცვალა ასევე თქვენი ცხოვრების წესიც. არ გიჭირთ ამის შეგუება?**

— შეგუების პრობლემა არ არსებობს. მე ბევრი გავაკეთე ამ შედეგის მისაღწევად. ერი ვარდებოდა კომაში, პოლიტიკური პროცესი თითქმის შეჩერდა, იკვეთებოდა 30 წლით ყოველგვარი პერსპექტივის ჩახშობის პერსპექტივები. ვინც აცნობიერებს რეალობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, მას ესმის, რომ შეუძლებელი შევძელით.

მოძრაობის ძირითადი ძრავა და ჩემი პარტნიორი ქართველი ხალხი იყო, რომელსაც მე სიყვარულისა და გულწრფელობის გრძნობა გავუღვიძე. ორჯერ ვიმოგზაურე მთელ საქართველოში. პირველი და მეორე მგზავრობა ძირეულად განსხვავდებოდა. ხალხმა იწამა და მომენდო.

**— დიდ იმედებს, შესაძლოა, ასეთივე დიდი იმედგაცრუება და აგრესია მოჰყვეს. ხართ ამისთვის მზად?**

— მზად ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მე არაერთხელ განვმარტე, რომ ერთ დღეში ყველა მდიდარი ვერ გახდება, მე ძალიან ძუნწი ვარ დაპირებებში, მაგრამ, როდესაც პირობას ვდებ, მას ყოველთვის ვასრულებ. რასაც დავპირდი, იმაზე მეტსაც გავაკეთებ.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხს ყოველთვის არ სურს ბოლომდე დაგიგდოს ყური, პოლიტიკური კულტურა ჩვენთან ჯერ კიდევ მწირია: ყვირიან ჩემს სახელს, ჩემი სახით ახალ მესიას ელოდებიან. შესაბამისად, ადგილი ექნება გარკვეულ იმედგაცრუებას, მაგრამ ამის გადალახვა შეიძლება.

**— თქვენ კამპანიაში ჩართული იყვნენ ლობისტები და პიარის სპეციალისტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რაც, პრინციპში, ახალი სიტყვაა ქართული ოპოზიციის ბრძოლის არსენალში. რამდენად წონადია მათ მიერ შეტანილი წვლილი თქვენს გამარჯვებაში?**

— ფაქტობრივად, არაფერ მნიშვნელოვანს ადგილი არ ჰქონია. საკუთარი თავის ქება უხერხულია, მაგრამ გამარჯვებას ჩვენ თავად მივაღწიეთ, მე და ჩემმა გუნდმა: ხალხმა, იდეამ, გამოცდილებამ, პოლიტიკურმა ალღომ და ანალიტიკურმა შესაძლებლობებმა.

ბევრი ფიქრობს, რომ ჩემი ფული დაგვეხმარა. სინამდვილეში კი ფული ყველაზე ნაკლებად დაგვეხმარა. მთავარი როლი ხალხის ნდობამ და ჩემმა პირადმა ადამიანურმა კაპიტალმა ითამაშა. ლობისტებმა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, მაგრამ არ ღირს მათი მნიშვნელობის გაზვიადება.

ჩვენ კამპანიაზე 1-დან 3 მილიონამდე დავხარჯეთ. ზუსტი თანხა არ მახსოვს, თუმცა ამის გადამოწმება ადვილი შესაძლებელია. ყველა კონტრაქტი, რომელიც ჩვენ დავდეთ, ლეგიტიმური და გამჭვირვალეა. დანარჩენი ყველაფერი სწორად შერჩეული გუნდის, მის მიერ ჩატარებული ანალიზის, გათვლების და ქართველი ხალხის წარმატებაა.

**— გაქვთ თუ არა ქვეყნის განვითარების მოდელი? როგორც სააკაშვილისთვის მაგალითად სინგაპური იყო?**

— როგორც ოსტაპ ბენდერი ოცნებობდა რიო დე ჟანეიროზე, ისე ოცნებობდა სააკაშვილი სინგაპურზე. მე არ დავასახელებ კონკრეტულ ქვეყნებს. ჩვენი არჩევანი ევროპაა. არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის თუ ბელგიის განვითარების მოდელი.

**რეზო საყევარიშვილი,**
**„форбес.ру“**

# „ქართული ოცნება“ 8 ოქტომბრიდან ყველა სახელმწიფო უწყებაში საკუთარ წარმომადგენლებს მიავლენს



**კანცელარიაში ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა 13 საათზე დაიწყო და, დაახლოებით, 45 წუთი გაგრძელდა. მორიგი შეხვედრა მომავალი კვირის ორშაბათს გაიმართება.**

**შეხვედრას კოალიციის მხრიდან ესწრებოდნენ ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი, სოზარ სუბარი და ირაკლი ღარიბაშვილი, ხელისუფლების მხრიდან — დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა, გიგა ბოკერია და პავლე კუბლაშვილი.**

კოალიცია „ქართული ოცნება“ 8 ოქტომბრიდან ყველა სახელმწიფო უწყებაში საკუთარ წარმომადგენლებს მიავლენს. ამის შესახებ „ქართული ოცნების“ სამუშაო ჯგუფის წევრმა დავით უსუფაშვილმა მთავრობის კანცელარიაში, მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი განმარტებით, ახალი მთავრობის ფორმირებამდე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სხვადასხვა უწყებაში არსებულ ვითარებას გაეცნობიან, რათა გადაბარების პროცესი უმტკივნეულო იყოს.

**„გარდა ამისა, თავიდან რომ ავიცილოთ შეფერხებები საერთაშორისო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, აუცილებელია, ჩვენი წარმომადგენლები თანდათან გაეცნონ სამინისტროებისა და სხვადასხვა უწყების მუშაობის სპეციფიკას. ჩვენ ასევე ჩავერთვებით ჟენევის მოლაპარაკებებში და წარმომადგენელს მივავლენთ ყველა სტრუქტურაში, მათ შორის ძალოვან უწყებაში“,** — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

## ◉ გახარებული საქართველო

# „ქართული აკადემიის“ განცხადება

**„ქართული აკადემია“ ულოცავს საქართველოს მოქალაქეებს კაცთმოძულე ხელისუფლებაზე ღირსეულ და შთამბეჭდავ გამარჯვებას და საგანგებოდ აღნიშნავს ამ გამარჯვებაში კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის ისტორიული მნიშვნელობის დამსახურებას.**

თაღლითობაში გაწაფული მიხეილ სააკაშვილი და აწ უკვე უმცირესობაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა ცდილობენ, ამ დამარცხებაშიც იპოვონ „მეტი სარგებელი“ და ქართველ ხალხსა და საერთაშორისო საზოგადოებას დემოკრატიულ ხელისუფლებად შეასაღონ თავი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა დამარცხებისათვის განწირული მცდელობა, მოპარონ ხალხს უთანასწორო ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება.

ნაციონალების მხრიდან ისმის მუქარა, რომ მათ შეუძლიათ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შექმნა, მაგრამ ამას იმიტომ არ აკეთებენ, რომ თითქოს პატივს სცემენ ხალხის მიერ არჩევნებში გამოვლენილ ნებას. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ შეუძლიათ მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას ხალხის ნების პატივისცემა და ვურჩევთ მათ, თავი დაანებონ შანტაჟსა და ხალხის მოთმინების გამოცდას.

„ქართული აკადემია“ გამოთქვამს იმედს, რომ ახალი ხელისუფლება შეძლებს დემოკრატიასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნას, ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან, გამოვთქვამთ განათლების, მეცნიერების, კულტურის სფეროებში ექსპერტულ დონეზე თანამშრომლობის მზადყოფნას.

„ქართული აკადემია“
4.X.2012.

## გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ ულოცავენ

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია მხურვალედ ულოცავს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერსა და სულის ჩამდგმელს ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს, კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერებს, მათი ორგანიზაციების წევრებს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბრწყინვალე საერთო-სახალხო გამარჯვებას, რის შედეგადაც გაჩნდა საქართველოს გამთლიანებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების იმედი.

სეკპ-ის სახელით
**ნუგზარ ავალიანი,**
**ჟიული სიყმაშვილი**
2012 წლის 3 ოქტომბერი

## ◉ ინფორმაცია

### ყველა საჯარო მოხელე, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, თავის ადგილს შეინარჩუნებს

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია კოალიციის მხრიდან რევანშს და შურისძიებას გამორიცხავს , თუმცა აცხადებს, რომ კონკრეტული პირები სამართალს ვერსად დაემალებიან.

ამის შესახებ ალასანიამ გადაცემა „სუბიექტური აზრის“ ეთერში, ზუგდიდიდან ჩართვისას განაცხადა. მისი თქმით, კოალიცია „ქართული ოცნების“ უშუალო კომპეტენცია არ იქნება ყველა იმ ადამიანის პასუხისგებაში მიცემა, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი.

— რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას და ყველა იმ ადამიანის პასუხისგებაში მიცემას, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, არ იქნება მთავრობის უშუალო კომპეტენცია. ეს არის დამოუკიდებელი სასამართლოს კომპეტენცია და მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მთავრობის და ხელისუფლების პირობებში სასამართლო ჭეშმარიტად გახდება დამოუკიდებელი. რაც შეეხება კონკრეტულ პირებს, სამართალს ვერსად ვერავინ დაემალება. ჩვენი მხრიდან რევანშს, შურისძიებას ადგილი არ ექნება. ჩვენ უნდა დავიწყოთ საზოგადოების შერიგება, საზოგადოების გამთლიანება და ყველა საჯარო მოხელე, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, შეინარჩუნებს თავის ადგილს და გააგრძელებენ დეპოლიტიზებულ გარემოში საკუთარი ქვეყნის სამსახურს, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ინტერპრესი

# ხელი – სახელმწიფოს ჯიბეში!..

ენის ქავილი

**„ათი ათასი ლარი დაუხარჯავს ერთ თვეში სატელეფონო საუბრებში დავით ბაქრაძის ოჯახის წევრს.**

**ახლა მივხვდი, რომ მართლა სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ.**

**პირადად მე თვეში 30 ლარს ვხარჯავ. ჩემი მეგობრები ორ-ორი ტელეფონით დადიან, რომ კიდევ უფრო ნაკლები დახარჯონ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს მეგობრებზე და ჩემზე ბევრად სასარგებლო საქმეს აკეთებენ დავით ბაქრაძის ოჯახის წევრები“, — აღნიშნავს ქალბატონი ია ანთაძე საკუთარი ფეისბუქის გვერდზე. „თვალნათლივ დავინახე, რომ სულ სხვადასხვა პოლუსზე ვართ ჩემი პარლამენტის თავმჯდომარე და მე. არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვით ბაქრაძემ კი არ დახარჯა, არამედ — მისი ოჯახის წევრმა. და სახელმწიფომ გადაიხადა ბაქრაძის ოჯახის წევრების სატელეფონო ხარჯი ეგვიპტეში მივლინებისას!“**

**ამის დამადასტურებელი დოკუმენტი კი შალვა რამიშვილის ფეისბუქის გვერდზე გაჩნდა. ბუნებრივია, ინტერნეტში ამ ფაქტმა გამოუხმაურება ჰპოვა. გთავაზობთ კომენტარებს.**

## ერთ თვეში 10 ათასი ლარისა რა ილაპარაკეს?!.

„10 ლარი თვეში და ძირითადად ინტერნეტი, მათ შორის, საერთაშორისო საუბრების კუთხითაც, მაგ ლოგიკით, ანუ ხარჯის მიხედვით, უსაქმური ვყოფილვარ“...

„24/7-ზე იყვნენ ჩამოკიდებულები ტელეფონზე?“

„ბაქრაძე დიდ საქმეებსაა შეჭიდებული— ჩანგლებს ლესავს და, აბა, რა ქნას, 10 000-იც არ დახარჯოს თვეში ტელეფონით სასაუბროდ?!“

„მე მგონი, ძალიან თუ არ „იჩალიჩე“, მაგას ვერ იზამ... ბოროტებაა!“

„საშუალოდ 20 ოჯახის რეალური შემოსავალი!“

**„ხო არ დაავიწყდა საზოგადოებას, საუბარია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეზე....... თავმჯდომარეზე, რომელიც ყველაზე „ღირსეული“ სპიკერი იყო ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში...**

**„რა ენაღვლებოდათ, თავისი ჯიბიდან კი არ იხდიდნენ, უსინდისოები, ქმრები შემოვიქიროთო მიშამ, რაღაც არ ეტყობოდათ, ისე ეს ბაქრაძე არც მწვადია და არც შამფური“.**

„მარტო ეგვიპტიდან?“

„პირველი და უმთავრესი რაც არის, ჩემი აზრით, სამართლიანობის აღდგენაა და არა კანონის. შეიძლება იყოს კანონიერი, მაგრამ არასამართლიანი. იმავე ამ ინვოისთან დაკავშირებით — პირობითად დავუშვათ, რომ მიიღო პარლამენტმა დადგენილება და პარლამენტის თავმჯდომარეს და მის ოჯახს მისცა უფლება ხარჯოს ტელეფონზე, ინტერნეტზე ან სხვა საჭიროებისათვის 10000 ლარი. იმანაც აიღო და დახარჯა. კანონი არ დარღვეულა, მაგრამ სამართლიანი არ არის. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა დაიწყოს სასამართლოს რეფორმა. თუ სასამართლოდან გამოსულ ადამიანს აქვს განცდა იმისა, რომ არასამართლიანად მოექცნენ, ის უკვე ვეღარ იქნება დაუცველი და, აქედან გამომდინარე, რწმენა იმისა, რომ რამე შეიცვალა, აღარ ექნება...“

**„მაშინ, როცა პატიმრებს აწამებდნენ, როცა ჩვენს მოხუცებს წამლის ფული არ ჰქონდათ, როცა ჩვენს შვილებს შიოდათ, ჩვენ ვალებში ვიხრჩობოდით, ჩვენს ბინებს აუქციონებზე ყიდდნენ, მათი შვილები კი ეგვიპტეში ინტერნეტით ერთობოდნენ ჩვენი ფულებით...**

**ახლა გაგვცენ პასუხი ყველაფერზე!“**

„ყველაფერი გარკვევით წერია, საქართველოს პარლამენტის აპარატიო. ისე რომ ჩახედოთ ანგარიშის მუხლებს, ცოტას გაერკვევით და ემოციებიც, ალბათ, ჩაგიცხრებათ. იქ ძირითადი ხარჯი შვიდიათას ლარზე მეტი რაღაც ეგვიპტური კავშირის საშუალებებთან მიერთებაზეა გამოყოფილი. გასარკვევია, ოღონდ, რამდენად იყენებდნენ ისინი

## აი, რატომ არის საჭირო ბიუჯეტის გამჭვირვალობა

ამას პირადი საუბრებისათვის. ისე, სახელმწიფოს ნებისმიერი მაღალი თანამდებობის პირი დედამიწის ნებისმიერი ადგილიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს კავშირით. რამდენად ყაირათიანად იყენებენ ამ საქმეში ჩვენს ფულს, ეს არის გასარკვევი.“

„მსგავსი ქმედება ძალიან ბევრმა მინისტრმა და სამსახურის უფროსმა ჩაიდინა და უფრო მეტიც .... ფაქტი ერთია — რომ არ უნდა შერჩეთ არამც და არამც, უნდა აგონ პასუხი ყველა კითხვაზე, ყველა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზეე“..

**„ასეა, მშიერ ძაღლს რომ აუშვებ, შეგჭამს, აბა, რას იზამს? გუშინ ისეთი სახით ლაპარაკობდა ბ.ნ. დავითი, გეგონებოდა, მომდგამს ქონება და რას დამაკლებთოოოო.... ჰეეეეე...“**

**„დათუნია დრუნჩა, პასუხს ელოდება სრულიად საქართველო, გვაინტერესებს, რეებს თამაშობ ინტერნეტში??? თევდორაძე (სიის მე-5 ნომერი) რომ ქაუნტერ სტრაიკის ლომი იყო, ვიცოდი... შენ???“**

„როგორი სიმარტოვე უგრძვნიათ... ეგაა კარგი ტურები?“

„არც ახლები იქნებიან გამონაკლისები. ახალი მინისტრები, ეს ასე იყო და ასე იქნება, ვინ ამბობს უარს კარგ ცხოვრებაზე?“

„მორჩა, ეს აღარავის აღარ უნდა ვაპატიოთ!“

„კი მარა, ეს საუბრები ხომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის იყო მიმართული? არა?“

**„აბა ვინ არის ფულზე გაყიდული? მიპასახუს მისტერ „იგრუშკამ““**


ჯეოსელი
Geocell
10,665.06 ლარი
01.07.2011 - 31.07.2011
28.08.2011
10,665.45

„სექს პო ტელეფონუ ჰქონდა...?

**„და მე შვილისთვის ვერ მიმკურნალია, აბა, ესენი არ არიან ისევ თავიანთი ცოცხების ღირსნი?!**

„მაგდენი როგორ დახარჯა ტო, რა ნაგლია...“

„უსინდისოები...“

„მაგ ფულით კაი ბიზნესს წამოიწყებდა კაცი და ბევრსაც დაასაქმებდა...“

**„ეგ ყველაფერი კაი, მაგრამ ჯეოსელი რატომ? როცა მაგთის ნომერია დაფიქსირებული.“**

**„1. ჯეოსელი იმიტომ, რომ ნომერი მაგთიდან პორტირებულია; 2. გვარი იმიტომ არ ფიქსირდება ბაქრაძის, რომ ნომერი პარლამენტის სახელზეა რეგისტრირებული, სამსახურებრივია და არა პირდაპირი, და მითითებულია პარლამენტის აპარატში პასუხისმგებელი პირი (აპარატის უფროსი) გ. მარტინენკო; 3. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ფაქტია, ესაა პარლამენტის სახელზე გაცემული „კორპორატიული“ ნომერი, რომლის დავალიანებასაც ფარავს პარლამენტი თავისი ბიუჯეტიდან, რომელსაც ცენტრალური ბიუჯეტი გადასახადების სახით ამოღებული (ჩვენი და ბიზნესის ჯიბეებიდან) თანხიდან აძლევს პარლამენტს. ამიტომაცაა ბიუჯეტების გამჭვირვალობა მოთხოვნილი და ფურცელზე კანონად ჩვენს ქვეყანასაც აქვს...**

**თუკი არ არსებობს დოკუმენტი, რომ პარლამენტის აპარატმა (საფინანსო განყოფილებამ) ლიმიტირებული თანხის ზემოთ დარიცხული თანხა ამ SIM ბარათის მინიჭებულ მფლობელს დაარიცხა, მაშინ უკვე საბიუჯეტო თანხის მითვისებასთან გვაქვს საქმე (პირადი მიზნებისათვის) და არ ვიცი, საქართველოში ნაციონალური სასამართლოს და კანონის მიხედვით როგორაა, და ცივილურ ქვეყნებში უბრალოდ სასამართლო წესით აღნიშნული თანხის დაბრუნებით, ან ალტერნატიული სასჯელით ისჯება... ნუ პოლიტიკურ კარიერაზე მიყენებული ჩრდილი და ბნელეთი სხვა რამაა .“**

**„ეს ჯერ ანონსია, ჯერ სად ხარ, ჯერ ზოგიერთების ბოტოქსის ხარჯები დაიდოს მერე ნახეთ თქვენ!“**

„ვაი, რაღა გეშველება“

„მორჩა გულავი, ნაცებო“...

„ხოო, ხალხს პურის ფული ენატრებოდა და ეს ჯგრო კიდევ რამეზე უნდა გვესაუბრებოდეს......:“

„უნამუსო კაცუნა....“

„10 000 ლარი!!! ამდენი რა ილაპარაკეს?!“

**„ნანუკამ თავის შოუში ბაქრაძის ოჯახი ფრთიან ანგელოზებად წარმოგვიდგინა...ეგვიპტეში დასასვენებლად წავიდნენ თუ ტელეფონზე ჩამოსაკიდებლად, ჰაააააა?“**

„გლდანიდან მაგდენს ველარ გაქაჩავს.....“

„ხამები.“

**„მშვენიერია ეს კომპრომატი! ახლა მაინც ჩაიგდებს ენას და აღარ შეგვაწუხებს იმაზე ლაპარაკით, რომ სულ დროში გააკონტროლებს „ოცნებას“, ჯობია თავისი ოჯახის წევრები აკონტროლოს.“**

„უსირცხვილოებიიიი...“

„ნაძირალა დემაგოგი, მაგათთვის ოპოზიციაში ყოფნა ბაირამობაა, დალაგდეს ყველაფერი, დააბრუნონ მოპარულები და სასამართლოს წინაშე აგონ პასუხი. კიდევ ბედავს და გაკონტროლებით იმუქრება...“

**ნატა ნიბლაძე**

# მილოცვა

**ამ განცხადებას „ქართულ-ოსური მისიის“ სახელით, შეგნებულად ვაკეთებ, აქ, „თეთრების“ ოფისში, რადგან ამ უმნიშვნელოვანესი მისიის სათავეებთან სწორედ „თეთრებიც“ იდგნენ.**

**„ქართულ-ოსური მისია“ ულოცავს მთელს ქართველ ხალხს და საქართველოს მეგობრებს უცხოეთში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას. მინდა მივულოცო და უღრმესი მადლობა გადავუხადო უფლისაგან მოვლენილ ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს და მის მრევლს, რომლის ლოცვა-კურთხევით გადაგვარჩინა უფალმა და დადგა ჟამი-ეპოქა საქართველოს გაბრწყინებისა.**

**განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ახალგაზრდობას, რომელმაც დროულად, კრიტიკულ მომენტში წარმოაჩინა თავისი ერთობა. ჩვენ განსაკუთრებულად ვულოცავთ არჩევნებში გამარჯვებას „ქართულ-ოსური მისიის“ თანათავმჯდომარეს, ბატონ ლერი ხაბელოვს, მადლობა ქარელელ ამორჩევლებს, რომლებმაც მას დაუჭირეს მხარი. იგი დიდებული კაცია და გვწამს, ღირსეული დეპუტატი იქნება. მადლობა მინდა ვუთხრა მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლეს“ ლიდერს, ბატონ იური ვაზაგაშვილს, რომლის დამკვირვებლებმაც მაქსიმალურად ხელი შეუშალეს გაყალბებებს საარჩევნო უბნებზე, რისი მონაწილე მეც გახლდით. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოდან პოლიტიკური ვითარების გამო იძულებით წასულ ადამიანებს და ყველა ბიზნესმენს საქართველოში დაბრუნდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ მათ ახალი ხელისუფლების დიდი მხარდაჭერა ექნებათ.**

**ქართულ-ოსური მისია ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ დაიწყო სრულიად განსხვავებული ეტაპი კეთილგანწყობილი ურთიერთობისა ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან.**

**ფერდინანდ ლორთქიფანიძე,**
**სახალხო კრების საბჭოს წევრი,**
**ქართულ-ოსური მისიის თანათავმჯდომარე**

კომენტარი





# ახლა მაინც გაარჩიე თეთრი და შავი, კარგი და ცუდი, მტერი და მოყვარე!

## ირმა ინაშვილი ვლადიმერ ბედუკაძეს უპასუხებს

**დღეს საშუალება მომეცა გაზეთში წამეკითხა ინტერვიუ ბატონ ლადო ბედუკაძესთან. ბატონი ლადოს ზოგიერთმა მოსაზრებამ, ერთის მხრივ, გამაოცა და, მეორეს მხრივ, შემაშფოთა, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი, კომენტარი გავაკეთო ბედუკაძის განცხადებებზე და ამასთან, მას საჯაროდ მივცე გარკვეული რჩევებიც.**

ბედუკაძის ცოლ-შვილი ბედუკაძისავე თხოვნით საქართველოდან გაიყვანა „ობიექტივმა". ყველა გამცილებელი, მათ შორის, გელა ნიკოლაიშვილი თუ ნანა კაკაბაძე თუ ვინმე სხვა ან „ობიექტივის" წევრია ან „ობიექტივში" მიჰყავს საავტორო გადაცემები. სტამბოლში ბედუკაძის ცოლ-შვილს, უსაფრთხოების მიზნით, მუდმივად თან ახლავს „ობიექტივის" ორი ჟურნალისტი. ბედუკაძის მეუღლემ და შვილებმა სტამბოლში უნდა მიიღონ ვიზა და შემდეგ ჩაფრინდნენ მასთან ბრიუსელში.

მოგეხსენებათ, ვიზის მიღება შეუძლებელია ორ, ან სამ დღეში. ამას დამიდასტურებს „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის" ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი, რომელსაც მივმართე დახმარებისთვის. ვიზის მიღების პროცესში „ობიექტივმა" ჩართო მისი ყველა მეგობარი და იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს. ბატონმა ბედუკაძემ მშვენივრად იცის, რომ მისმა ოჯახმა დღეს, დილის 10 საათზე ვიზის მისაღებად სათანადო ინტერვიუს ერთი ეტაპი გაიარა საკონსულოში. ინტერვიუზე ბედუკაძისა და მისი მეუღლის მოთხოვნით მას ახლდნენ „ობიექტივის" ჟურნალისტები, აქაც მინდა აღვნიშნო, რომ გუშინ ბატონი ლადო ამბობდა, — აღარ მინდა „ობიექტივის" ჟურნალისტების დახმარება, დაბრუნდნენ თბილისშიო, ხოლო საათის მერე, მისი მეუღლე დაჟინებით ითხოვდა, „ობიექტივის" ჟურნალისტები წამომყვნენ ინტერვიუზეო. ამას იმიტომ ვწერ, რომ გასაგები გახდეს: ბატონი ლადო ნერვიულობს, მუდმივ ეჭვებშია და, ამის გამო, პოზიციას დღეში რამდენჯერმე იცვლის. ამიტომ მე გაოცებული და განცვიფრებული ვარ, როდესაც ბატონი ბედუკაძე აცხადებს, რომ მისი ოჯახი, თურმე, მძევალია და რომ, თურმე, ვიზის მიღება ხელოვნურად ჭიანურდება.

მე მესმის ბედუკაძის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მესმის, რომ იგი ნერვიულობს და განიცდის ცოლ-შვილის ამბავს (ხან მირეკავს, უკმაყოფილოა და მეჩხუბება. მერე უცბად კვლავ მირეკავს და ბოდიშს მიხდის და სრულ ნდობას და ძმობას მიცხადებს. მერე ისევ მირეკავს, ისევ მეჩხუბება. ზუსტად ანალოგიურად ექცევა გიორგი ფოფხაძეს თუ სხვებსძ... მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან ასეთი უსამართლო და სრულიად უსინდისო განცხადებები უნდა გააკეთოს. ვაცხადებ: „ობიექტივი" ყველაფერს აკეთებს, რაც მას შეუძლია. თუ ბედუკაძეს ან ვინმე სხვას, მეტი შესაძლებლობა აქვს, იმოქმედოს. ვიმეორებ: ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ ბედუკაძის ოჯახმა რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს ვიზა და ჩავიდეს ბრიუსელში.

მეორე, ასევე, უსაფუძვლო და უსამართლო განცხადებაა, თითქოს ბედუკაძე ყველამ მიატოვა. თვეების განმავლობაში მას იფარავდა, პატრონობდა და საგულდაგულოდ იცავდა „ობიექტივის" წევრი მერაბ ბლადაძე. სწორედ ბლადაძის დამსახურებაა, რომ ეს საქმე არ „გასკდა", ბედუკაძე ხელისუფლებამ ვერ მოძებნა და ვერ გააქრო. ბლადაძისგან ბედუკაძე „ობიექტივის" სხვა წევრის სახლში გადაიყვანეს (მის გვარს და სახელს შეგნებულად არ ვასახელებ, არაა ამისი აუცილებლობაძ. ბედუკაძე აქაც საგულდაგულოდ იყო დაცული. ბატონი ლადო ახლაც დაცულია და ესეც „ობიექტივის" დამსახურებაა.

მესამე, არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვამბობ: არც ბიძინა ივანიშვილი, არც „ქართული ოცნება", არც რომელიმე სხვა პოლიტიკური ძალა არავითარ კავშირში ამ საქმესთან არანაირად არ ყოფილა დაკავშირებული. ლადო ბედუკაძის საქმეში ჩართულია მხოლოდ „ობიექტივი", მისი წევრები ან წამყვანები. თუმცა, არავითარ ექსკლუზივზე ჩვენ არ ვიბრძვით. თუ ვინმეს აქტიურობა და ბედუკაძის დახმარება სურს, დაეხმაროს. ისე გეტყვით, რომ აქამდე დახმარების წინადადებით არც ერთი პოლიტიკური პარტიის, ან საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენელი არ დამკავშირებია.

დაბოლოს, მეოთხე და ყველაზე მთავარი. ბრიუსელში ცხოვრობს ვინმე ვიქტორ ჭელიძე. ჩემი ინფორმაციით, დაზვერვის ყოფილი ოფიცერი. ბატონმა ჭელიძემ ბედუკაძე სრულიად შემთხვევით გაიცნო მერაბ ბლადაძის სახლში. ამის შემდეგ, როგორც ირკვევა, ჭელიძეს დაუწყია ფარული მუშაობა ბედუკაძესთან. ჯერ მოხდა პირველი საოცრება. ბედუკაძემ, რომელიც თვეების განმავლობაში მერაბ ბლადაძესთან ცხოვრობდა, რატომღაც, მოითხოვა ბლადაძისგან სხვაგან გადაყვანა. ამასთან, გამოთქვამდა ბუნდოვან ეჭვებს. გადავიყვანეთ. როგორც ირკვევა, სადაც გადავიყვანეთ, ვიქტორ ჭელიძე ბედუკაძეს იქაც არ ტოვებდა და მუდმივ ეჭვებში აგდებდა. როდესაც მე და გიორგი ფოფხაძე მივედით ბედუკაძესთან შესახვედრად, მოულოდნელად იქ დაგვხვდა ვიქტორ ჭელიძე, რომელმაც ღიად მითხრა: ამიერიდან მე უნდა მელაპარაკოთ და არა ბედუკაძესო. მე ვარ ბედუკაძის ნდობით აღჭურვილი პირიო. ამას მე პირდაპირ შანტაჟი ვუწოდე. სხვათა შორის, ჩვენი კამათის მოწმეებიც არიან და თუ ვინმეს სურვილი აქვს, შეუძლია დაადასტუროს ეს ფაქტი. მე წინააღმდეგი არა ვარ. ჩემი ინფორმაციით, ახლა სწორედ ვიქტორ ჭელიძე არწმუნებს ბედუკაძეს წარმოუდგენელ სისულელეებში... რომ ის ხალხი, ვინც მას იფარავდა, მაგალითად, ბლადაძე, თურმე, ბედუკაძის მტერია... რომ ის ადამიანები, რომლებსაც მისი ცოლ-შვილი ბელგიაში გამოჰყავს, ანუ ჩვენ, თურმე, მის წინააღმდეგ ვმუშაობთ... რომ ის ადამიანები, რომლებმაც ბედუკაძეს ადვოკატი უქირავეს, ანუ ფოფხაძე და ბლადაძე და , საერთოდ, „ობიექტივი", თურმე, ბედუკაძის დაღუპვას ცდილობენ.

ამასთან, ჭელიძე ბედუკაძეს არწმუნებს, რომ ამ საქმეში რაღაცა მილიონები ტრიალებდა, თუ ტრიალებს. გახსოვთ, ალბათ, საქართველოს მთავარი პროკურორის განცხადებით ბედუკაძის საქმეში თითქოს 2 მილიონი ფიგურირებდა. უნდა განვაცხადო: ამ საქმეში არ ფიგურირებდა არც 2 მილიონი, არც 200 000, არც 2000 და არც 2 დოლარი. ეს საქმე გააკეთა „ობიექტივმა". ბრიუსელში „ობიექტივის" წევრები ინახავდნენ და დღესაც ინახავენ ბედუკაძეს. მთელი საქართველოს გასაგონად მინდა ვთქვა. მათ შორის, ბრიუსელში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისა და, უპირველეს ყოვლისა, ბედუკაძის გასაგონად ვაცხადებ: ვიქტორ ჭელიძე ცდილობს ამ საქმეზე ხელი მოითბოს. ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ ჰყავს ბედუკაძე. მას არწმუნებს სხვადასხვა სიცრუეში და ცდილობს ბედუკაძე ჩაითრიოს გარკვეული ტიპის შანტაჟში. ამავდროულად, ვიქტორ ჭელიძე ცდილობს, გაიგოს: კიდევ რა იცის ბედუკაძემ, კიდევ რისი თქმა შეუძლია მას, რამდენად საშიშია იგი სააკაშვილის ბანდისთვის და მოგვიანებით, შეეცდება ადვოკატთანაც გააფუჭოს საქმე და ის სარჩელი, რომელიც ბელგიის პროკურატურამ მიიღო სააკაშვილის წინააღმდეგ, როგორღაც დააყოვნოს და ჩაშალოს.

ვეუბნები ბედუკაძეს: სწორედ „ობიექტივია" შენი დამცველი. ჩვენ უკვე მივმართეთ შენს ადვოკატს, რათა მან უზრუნველყოს შენთვის ბელგიის ფედერალური პოლიციის დაცვის გამოყოფა. ასევე, ვაცხადებ, რომ მე მივმართავ ბელგიის ფედერალურ პოლიციას, ვიქტორ ჭელიძისა და მასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის გამოძიების მოთხოვნით. ბოლო ათი დღე, ბრიუსელში, ქართული სპეცსამსახურების მხრიდან, მუდმივი თვალთვალისა და წნეხის ქვეშ ვიმყოფებოდით. ერთადერთი, რასაც ვურჩევ ბედუკაძეს, — გონება დაძაბოს, ადამიანს ღმერთმა აზროვნების უნარი ტყუილად ხომ არ მისცა? ახლა მაინც გაარჩიე თეთრი და შავი, კარგი და ცუდი, მეგობარი და მტერი.

ირმა ინაშვილი.
2012 წლის 4 ოქტომბერი.

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს"...

# „ოცნება" ეკოლოგიური ოცნებების ახდენას იწყებს

**„ქართულმა ოცნებამ" დიდი ჰესების მშენებლობას პირველი დღეებიდანვე შეუტია. ზოგადად კი გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის სფეროში რეფორმის დაწყებას პარლამენტის პირველივე სხდომებიდან გეგმავს.**

„მწვანეთა პარტიის" ლიდერი გია გაჩეჩილაძე, რომელიც პარლამენტში „ოცნების" სიით მოხვდა, აცხადებს, რომ პირველ რიგში პარლამენტის მიერ 20 მარტს მიღებული კანონის გაუქმება მოხდება, რის მიხედვითაც ეკოციდის მომწყობებს მხოლოდ ფულადი ჯარიმები ეკისრებათ.

**გაჩეჩილაძის თქმით, გაძლიერდება გარემოს დაცვის სამინისტრო, აიკრძალება ატომური სადგურების, რადიაციული ნივთიერებების, ასევე გენმოდიციფიცირებული პროდუქციის შემოტანა და პროდუქციის ევროპულ დონეზე მარკირება მოხდება. მისი განცხადებითვე, ქვეყანაში მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები აღარ აშენდება, ხოლო უკვე გაცემული ლიცენზიები უმკაცრეს ექსპერტიზებს დაექვემდებარება.**

მართალია, დარიალი-ჰესი ძალიან მსხვილი ჰესი არ არის, მაგრამ ის ძალიან დიდ პრობლემას უქმნის იმ ლანდშაფტს, სადაც მისი მშენებლობა მიმდინარეობს, ანუ ყაზბეგის ეროვნულ პარკს. ამის შესახებ გარემოს დამცველები კარგა ხანია, დაუფარავად საუბრობენ და ჰესის მშენებლობის შეჩერებასაც ითხოვენ, თუმცა ამაოდ. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კი გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ეს საკითხი გამოწვლილვით შეისწავლონ.

**„ვფიქრობ, რომ ყაზბეგში, დარიალი ჰესის მშენებლობა გარემოს მართლაც უქმნის პრობლემას. პარლამენტში მუშაობის დაწყებისთანავე აუცილებლად მოვითხოვ იმის გარკვევას, ახდენს თუ არა გარემოზე უარყოფით ზეგავლენას ამ ჰესის მშენებლობა",** — განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების" ყაზბეგის მაჟორიტარმა დეპუტატმა მირიან წიკლაურმა.

**„ფაქტობრივად, შესწავლის გარეშე, ძალიან სწრაფ ტემპებში დაიწყო დარიალი ჰესის მშენებლობა. ადგილობრივ მოსახლეობასთან და გარემოს დამცველებთან შეხვედრა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი მშენებლობა და არ ითვალისწინებდნენ გარემოს დამცველების აზრს. ამიტომ, დღის წესრიგში სერიოზულად უნდა დადგეს ამ საკითხის გარკვევა.**

**ვფიქრობ, ამ ჰესის მშენებლობა გარემოს მართლაც უქმნის პრობლემას, თუმცა დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. პარლამენტში რომ შევალ, აუცილებლად მოვითხოვ იმის გარკვევას, ახდენს თუ არა გარემოზე უარყოფით ზეგავლენას ამ ჰესის მშენებლობა",** — აღნიშნა გაჩეჩილაძემ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას.

ამჟამად მოქმედი „დაცული ტერიტორიების შესახებ" კანონით, ეროვნული პარკის სხვადასხვა ზონაში სხვადასხვა საქმიანობაა დაშვებული. კანონში არ არის განსაზღვრული რა სახის საქმიანობაა აკრძალული, მაგრამ წერია, რა არის დაშვებული. კანონით, ჰესის მშენებლობა არ შედის დაშვებულ საქმიანობათა ნუსხაში.

**„სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე, მდინარეში დარჩება მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 პროცენტი. პროექტი აბსოლუტურად შეცვლის დარიალის ხეობის ლანდშაფტს, რის გამოც ის დაკარგავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ-ეთნოგრაფიულ და ტურისტულ ფასეულობას. პროექტს ასევე ექნება ძალზე მნიშვნელოვანი, შეუქცევადი ზეგავლენა „წითელ წიგნში" შეტანილ სახეობაზე",** — აღნიშნავენ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივაში".

**2011 წლის სექტემბერში დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 110 მეგავატი სიმძლავრის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით, 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის — 90%-ის მოქცევას ჯერ სადერივაციო მილსადენში და შემდგომ სადერივაციო გვირაბში.**

არასამთავრობოების ინფორმაციით, პროექტს ექნება შეუქცევადი ზეგავლენა მდინარეზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილ ნაკადულის კალმახზე და გამოიწვევს თერგში ამ პოპულაციის გაქრობას.

ეკა ბაქარძე

№192. შაბათი, 6 ოქტომბერი, 2012 წელი.

# თეატრი – ერთ-ერთი მძლავრი ოპოზიცია!



## ყველა გამწარებულია, შველა სჭირდება ხალხს

**ამ დღეებში ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სახელოვან კოლექტივს, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდებული ქართველი, მოქალაქე, უნიჭიერესი რეჟისორი ბატონი გიორგი სიხარულიძე, ქალაქის მთავრობამ დაუბლოკა სპექტაკლი, რომელიც სამართლიანობის აღდგენის პრობლემას ემსახურებოდა. სამთავრობო სტრუქტურამ თავისი მოქმედებით საგრძნობლად შეისუსტა თავისი პოზიცია, ხოლო არშემდგარი სპექტაკლით თეატრმა კიდევ უფრო გაიძლიერა თავისი დანიშნულება, აქტუალობა. თბილისის ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის 62 მსახიობი, რომლებიც ამჟამად უსამართლოდ არიან გამოყრილი თეატრიდან, მხურვალე სოლიდარობას გიცხადებენ და მთელი არსებით თქვენ გვერდით დგანან, ძვირფასო ქუთაისელო კოლეგებო.**

მინდა, ვისარგებლო დემოკრატიით და სიტყვის თავისუფლებით და კითხვით მივმართო ბატონ პრეზიდენტს: თუ გაიხსენებთ, მერამდენედ შეაჩერეთ თეატრალური ღონისძიება?

ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ: სამეფო უბნის თეატრში სპექტაკლ „ჩემი მეგობარი ჰიტლერის“ დადგმისთვის სუბსიდირება მოუხსენით თეატრს და ამის გამო შეჩერდა აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა. გაჩერდა სპექტაკლი „სისხლი სისხლის წილ“, რომელიც შექმნილია თანამედროვეობის უბრწყინვალესი დრამატურგის ბატონ ლაშა თაბუკაშვილის პიესის მოტივების მიხედვით და რომელიც ვაკის სარდაფში დადგა ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა გიორგი სავანელმა. თეატრიდან გაგდებულია მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი რეჟისორი რობერტ სტურუა. საზღვარგარეთ მოღვაწეობის სახელოვანი და ბრწყინვალე რეჟისორი თემურ ჩხეიძე. 28 სექტემბერს კი დაბლოკეთ ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლის ჩვენება.

მაპატიეთ, მაგრამ თქვენი ამგვარი მოქმედება აშკარად მეტყველებს თქვენს შიშსა და სისუსტეზე. თუ თეატრს გაუგებთ და შეიყვარებთ, მერწმუნეთ, გასაჭირის ჟამს უთუოდ გვერდში ამოგიდგებათ და დაგეხმარებათ. თქვენი სასახლის მისალები დარბაზის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს დიდი ილიას სურათი. უნდა შეგახსენოთ, რომ სწორედ დიდი ილიას თაოსნობით დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში პატრიოტული პიესა „სამშობლო“, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია და ქართველი ხალხი გამოაღვიძა და გამოაფხიზლა. აი, ასეთი ძალა აქვს თეატრს! კარგად მოგეხსენებათ, რომ უდრამატურგიოდ, თეატრი არ არსებობს. თუ არ გიყვართ თეატრი და არ აფასებთ, მაშინ, ცხადია, არ აფასებთ დრამატურგებსაც, ე. ი. არაფრად მიგაჩნიათ შექსპირი, მოლიერი, გოგოლი, ოსტროევსკი, პ. კაკაბაძე და მრავალი კლასიკოსი. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება უმნიშვნელოვანეს დეტალს: შექსპირმა დაშნა კი არ დააჭაშნიკებინა ჰამლეტს და კი არ შეაბრძოლა მოწინააღმდეგეს, რომ სიმართლე აღედგინა, არამედ, სპექტაკლის დადგმით და დემონსტრირებით ჰამლეტმა ფარდა ახადა იმ ბოროტებას და უსამართლობას, რომელიც სუფევდა სამეფო კარზე. ამ დეტალით შექსპირმა ძეგლი დაუდგა თეატრის ძალასა და მნიშვნელობას. თქვენ კი ქუთაისის თეატრის კოლექტივს სიმართლე არ ათქმევინეთ და ღირსება შეულახეთ. სპექტაკლი, რომელიც მზადაა და წარედგინება მაყურებელს, უკვე ხალხის საკუთრებაა. ხომ სუფევს ჩვენში სიტყვის თავისუფლება? ერთპიროვნულად ნუ გადაწყვეტთ ყველაფერს, საინტერესოა, რატომ არავინ არ გეუბნება რამეს რჩევის სახით? ეშინიათ?

თქვენ კი ამასობაში თავი გაიკერპეთ და ამას ვერც გრძნობთ. უნდა შეგახსენოთ, ბატონო ჩემო, თქვენ თავიდანვე გეტყობოდათ, რომ ასეთად შედგებოდით! რატომ? პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მაშინ გადადგით როცა კატეგორიულად განაცხადეთ, რომ ქვეყნის სიმდიდრეს, სიკეთეს, სიბრძნეს ჩარეცხავდით. თქვით და შეასრულეთ კიდეც.

აქედან დაიწყო თქვენი ავტორიტარიზმი, სასწრაფოდ შეუდექით თქვენ მიერ შემუშავებული მენტალიტეტის განვრცობას, განსაკუთრებით მომავალ თაობაში. მომავალი თაობის დამახასიათებელი თვისებაც ის არის, რომ სწრაფად ითვისებს ახალს, და შედეგიც მივიღეთ: დაივიწყეს სამშობლო, წარსული, ტრადიცია, ადათი, ჩვევები, წესი და ა. შ. ტელეეკრანებზე გაჩნდა და თანდათან მომრავლდა ფილმები ძალმომრეობაზე. აქვე უნდა შევნიშნო, რომ თქვენი ახალი მენტალიტეტი არა მარტო მომავალ თაობას აყალიბებს, არამედ ნუ იტყვით და მოზრდილებმა და ასაკოვნებმა უფრო შეითვისეს ეს „სიახლე“ და, აი, ინებეთ – ერის დიდი ტრაგედიის რეალობა პენიტენციარული სისტემის სახით.

ვაი სირცხვილო, რა უბედური ერი ვყოფილვართ! 21-ე საუკუნე დავიწყეთ ერის დაცინვით, გაკიცხვით!

როგორ მოვიშოროთ ამხელა ჭირი? მხოლოდ მონანიებით! მერვე კლასიდან მეთორმეტე კლასელთა ჩათვლით უნდა ვატაროთ მოსწავლეები ეკლესიაში და მუხლმოყრილებმა ვილოცოთ და ღმერთს გადარჩენა ვთხოვოთ. ვილოცოთ დიდხანს და დიდხანს! სწორედ ამ ასაკის თაობას შეეხო ახალი მენტალიტეტი. თორემ ჩვენს გმირ სტუდენტებს (ვერ მოასწრეს), ეს მენტალიტეტი თავს ვერ მოახვიეს. ამ თაობამ აშკარად დაამტკიცა რომ სიყვარულით და პატივისცემით ერის ისტორიას ღირსეულ ფურცლებს შემატებს. სკოლაში არ ჩანს სტაბილურობა, რეფორმების ყოველკვარტალურმა ცვალებადობამ ასევე დაცემა გამოიწვია სასწავლო პროცესში. განათლების სისტემაში უფრო ქაოსურობა იგრძნობა. ახალი მენტალიტეტის გათვალისწინებით, მოსწავლეები ამჯობინებენ ამერიკული წესით ცხოვრებას, ეკრანიდან სწავლობენ ყველაფერს, ბაძავენ იმათ და უფრო გართობა იტაცებთ, ვიდრე წიგნი. საბოლოოდ თაობა გაბრიყვდება. ბრიყვების მართვა უფრო იოლია. ეს მხოლოდ ეჭვის დონეზე მესახება, მაგრამ ვაითუ, აა?

გაბრიყვების პოლიტიკამ უცბად გამახსენა უკვე დაკანონებული გამოხშირვის პოლიტიკა, რომელიც ჩვენს პენსიონერებს ეხება: ხმლით ან ავტომატით კი არა, მიზერული პენსიებით ხდება პენსიონერთა გამოხშირვა.

ისევ მომავალი თაობის აღზრდაზე უნდა მოგახსენოთ, დღიდან დაარსებისა მოზარდ მაყურებელთა თეატრი მუდამ მთელი შეგნებით ზრდიდა მომავალ თაობას ესთეტიკურად, სულიერად, ზნეობრივად, დრამატურგიული პოლიტიკა იყო მუდამ სამართლიანი, პატრიოტული, ესთეტიკური, იზრდებოდნენ მოქალაქეებად, რომლებსაც გათვითცნობიერებული ჰქონდათ ადამიანის დანიშნულება. ამიტომ იყო თეატრი პრესტიჟული. დღეს კი თეატრი არაპრესტიჟულია, მოზარდი თაობა ვერ იღებს სულიერ საზრდოს. თეატრში შემოქმედებითი პროცესი უმდაბლეს დონეზეა, კორუფცია კი უმაღლესზე. თუ თქვენთვის ეს ცნობილი იყო, მაშინ შეიძლება თქვენი დუმილი გავამართლოთ იმით, რომ არ შეიძლებოდა ქვეყანაში, რომელიც კეთილდღეობის რეიტინგულ სიაში უმაღლეს დონეზეა, უცბად გამოვააშკარავოთ კორუფციის სასტიკი ფაქტი, რომელსაც ხელს აფარებენ იმის გამო, რომ მისი ჩამდენი არის თეატრის მმართველი და იგი პრეზიდენტის ძმადნაფიცია. აი, ამ ფაქტებს ვერ ითმენდნენ მსახიობები, რისთვისაც ისინი გამოყარეს კიდეც თეატრიდან, ჯერ 16 მსახიობი, შემდეგ – 44, და ბოლოს, კიდევ 2 მსახიობი. ასეთი მასობრივი გაძევების შემდეგ უარი ვთქვი ვარსკვლავის გახსნაზე, დავწერე განცხადება და დავტოვე თეატრი. მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმათ გვერდით უნდა ვყოფილიყავი.

თქვენ ესეც იცით, მაგრამ მაინც განაგრძობთ დუმილს. დუმს პარლამენტიც და მთავრობაც! თეატრი რომ არაპრესტიჟული გახდა თქვენთვის ეს არაფერს ნიშნავს, იმიტომ, რომ თქვენ ფლობთ თქვენ მიერ დაარსებულ პატრიოტულ სკოლას, ბანაკებს და რაღა აზრი აქვს სამართლიანობაზე დავას? ცხადია, გაგონილი გექნებათ: „შენ ზევითა ხარ, მე – ქვევით, როგორ აგიმღვრევ წყალსაო?“ ჩემო ბატონო, თქვენ რომ თავიდანვე გაგეთვალისწინებინათ სხვისი შეცდომა, უფრო ადვილად წარიმართებოდა ქვეყნის ბედ-იღბალი. არ შეიძლება, არ იცოდეთ, ტელევიზიები ხშირად გვასმენინებენ ზვიად გამსახურდიას დროინდელი კარვის ქალბატონის მტკიცებულებას: „მას არ სჭირდება ინტელიგენტები, ის თვითონაა ინტელიგენტი“.

ასეთი ავბედითი შეცდომა რომ გაგეთვალისწინებინათ, არავისაც არ ჩარეცხავდით და არც თქვენი „ახალი მენტალიტეტი“ იქნებოდა საჭირო. მახსოვს, კმაყოფილებით აღსავსე თქვენი სახე, თქვენი სიხარული, როდესაც სლოვენიაში ჩაბრძანდით საგანგებოდ, ჩვენი 17 წლამდე ჭაბუკი ფეხბურთელების მნიშვნელოვანი მატჩის სანახავად. ბუნებრივია, ბიჭები აღელდნენ – პრეზიდენტი ჩამოვიდა ჩვენს სანახავადო, დაიბნენ, ინერვიულეს, ძალიან მოინდომეს და წააგეს შეხვედრა. თქვენ კარგ ხასიათზე ბრძანდებოდით და აღნიშნეთ, რომ „ძალიან კარგი ბიჭები არიან, ისინი შემდგომში აღარ წააგებენ, იმიტომ რომ სულ სხვაგვარად აზროვნებენ, სულ ახლებურად, ახალი მენტალიტეტით, მე მათი იმედი მაქვსო“. ხმას ვერ მოგაწვდენდით მაშინ და ახლა უნდა მოგახსენოთ ჩემი აზრი: თბილისის დინამომ რომ მოიგო და თბილისში ჩამოიტანა, ევროპის მნიშვნელოვანი საპატიო თასი, საინტერესოა, რა ან ვისი მენტალიტეტი ჰქონდა?

მრავლად გვყანან საბჭოთა კავშირის, ევროპის მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები სხვადასხვა სახეობაში. ვისი მენტალიტეტით ახერხებდნენ ისინი ყოველივეს? საქმე ის არის, რომ ყოველივე ლამაზი, საინტერესო, საუცხოო უნდა მოხდეს აუცილებლად თქვენი პრეზიდენტობის დროს. გასაგებია, ჩემო ბატონო, ალბათ, ყველა პრეზიდენტი ასევე იფიქრებს და ეცდება, მაგრამ წარსულს ლაფს არ გადაასხამს. სხვა დროს თუ არსებობდა საქართველო და რამე საინტერესოს თუ აკეთებდა, სულ ვერ წარმოგიდგენიათ. რა ვქნა, ჩემო ბატონო, „ავად სახსენებელმა“ კომუნისტებმა დააარსეს მოზარდ მაყურებელთა თეატრი 1928 წელს, რომელიც უმაღლეს დონეზე ზრდიდა თაობებს. დღეს კი, ე. წ. დემოკრატიულ წყობაში, თეატრს ვდევნით, ვანადგურებთ და თაობას თანდათან ვაშორებთ თეატრისგან! ბატონი ბიძინას დიდი ძალისხმევით რეკონსტრუირებულ ულამაზეს შენობას გაყიდვას ხომ არ უპირებენ ნეტავ?

თქვენ რასაც ხსნით, ის ყველაფერი „ზღაპრულია“. მახსოვს, როცა ბათუმის საოპერო თეატრი გახსენით, თქვენ ბრძანეთ: „დაიხსომეთ ბათუმის საოპერო თეატრით იწყება ქართული კულტურის აღორძინებაო!“ როგორ კადრულობთ, ბატონო ჩემო? მე ეს გვერდი ამ ქაღალდისა არ მეყოფა საიმისოდ, რომ ჩამოვწერო ყველა ის უდიდესი მსახიობი, რეჟისორი, რომლებიც მსოფლიოში მაღალ დონეზე აღიარებულები იყვნენ. აუღორძინებლობამ თავი იჩინა XXI საუკუნის დასაწყისიდან. თეატრი, კინო და, საერთოდ კულტურა კრიზისულ მდგომარეობაშია. რომ არა ბატონ ბიძინა ივანიშვილის დახმარება, დღეს რაც არის, საერთოდ არაფერი აღარ იქნებოდა. ახლა დაეტყობა კულტურას აღორძინება. თქვენ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ ინგლისური ენის შესწავლას. პირველი კლასიდან იწყებს ბავშვი ინგლისურის შესწავლას, ინგლისური ენა ისწავლება უფასოდ, ინგლისურენოვანი დიდი ლაშქარი დანაწილდა სოფლებსა და რაიონებში და გაჩნდა მოწოდებაც: თუ გამოჩნდება სამუშაო ადგილი, მოხვდება ის, ვისაც ეცოდინება ინგლისური ენა. მოხარული ვიქნები, თუ საქართველოში მრავლად გვეყოლება პოლიგლოტი, ეს ძალიან კარგია, ერის სიმდიდრეა, საამაყოა, მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა ხდებოდეს მშობლიური ენის გაუბრალოების, გაუფასურების, გაუხეშების, დამცირების ხარჯზე. ბატონო ჩემო, ცნობილი ფრაზა უნდა შეგახსენოთ: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენამ არ იცის პარტიულობის პრინციპი. იგი ყველასთვის საერთო და აუცილებელია. რა ვქნა, უნდა გავბედო და მოგახსენოთ, რომ მეტყველებას ყურადღებას არ აქცევთ. არადა, დამიჯერეთ, მართლა სურს ყველას, რომ პრეზიდენტის მართლმეტყველება იყოს დახვეწილი. საქმე ის არის, რომ თქვენთვის სიჩქარე არ შეიძლება, სიტყვები ითქვიფება ერთი მეორეში და აზრი გაუგებარი რჩება. ქართული ენა უნდა იყოს „დინჯი, ბრძნული, დარბაისლური“. ჩვენ არა ვართ ისეთი სწრაფმეტყველი ერი, როგორიც ესპანელები, იტალიელები, ინგლისელები და ა. შ. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ მეტყველების დროს.

გარდა ამისა, ბატონო ჩემო, თქვენ მეტყველებთ ჟარგონებით. ეს პრეზიდენტისთვის ყოვლად დაუშვებელია. თქვენს მენტალიტეტთან ერთად თაობა თქვენგან ისწავლის ჟარგონით მეტყველებას. მაგალითად, თქვენ ხშირად იყენებთ სიტყვა „მაგარია“. არ გიხდებათ, ბატონო პრეზიდენტო. მაგარი არის რკინა, ქვა, კლდე და ა.შ. მაგალითისთვის: ერთი ეკითხება მეორეს: შეხედეთ, შეხედეთ, როგორ მოგწონთ ახლად დაქორწინებულები? პასუხი – მაგარია! იქნებ სჯობდა, გვეთქვა: კარგია, ლამაზია, შესანიშნავია, ბრწყინვალეა, არაჩვეულებრივია, დიდებულია, საუცხოოა და ა. შ. ეს მარგალიტივით სიტყვები საერთოდ გაქრება ქართული მართლმეტყველებიდან, თუ ყველაფერზე მაგარიაო, ვიტყვით. ბათუმის შავი ზღვა მაგარია, ბულვარი მაგარია, აი, ის ხიდი მაგარია, ღვინო, ლუდი, არაყი, კბილის ჯაგრისი მაგარია, დამეთანხმებით, რომ ეს არაპრეზიდენტურია.

მეორე სიტყვა არის: ვიძახი, იძახი, იძახის, იძახდა, ვიძახდით და ა. შ. ვიძახდით მთაში, ტყეში, ზღვაზე, როცა შორს ვარ ზღვაში და ველარ გამოვდივარ, ვიძახი ნაპირისკენ და ვითხოვ შველას. ერთი მეტრი მაშორებს ფიზიკურად მოსაუბრეს და „მე ვიძახი, რომ თქვენ არა ხართ სწორი!“ რატომ „იძახით“, ბატონო? არ აჯობებდა, ვამბობ, მოგახსენებთ, ვამტკიცებ, გაცნობებთ! რატომ „ვი-

ძახით", როცა მიკროფონით ვმეტყველებთ, მიკროფონი ძალზე მგრძნობიარეა და ის ჩურჩულსაც ხმამაღლა გამოსცემს. მოსარიდებელი არ უნდა იყოს. უნდა დავფიქრდეთ და ვაიძულოთ თავი, გამოვასწოროთ ის. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არც სკოლაში გისწავლათ და არც უმაღლეს სასწავლებლებში, ანგარიშმიუცემლად მოსმენით შეითვისეთ. რას ერჩიან სიტყვა „მაგარიას", რატომ გაათრიეს იგი ჟარგონებში? შესანიშნავი ლიტერატურული სიტყვა იყო. თქვენი „ვიძახით" და „მაგარიათი" ძალიან სწრაფად დაუახლოვდით საზოგადოების გარკვეულ ფენას, მათ თქვენი მენტალიტეტიც სწრაფად აითვისეს. თქვენი ესმით, მოსწონხართ, მორჩილნი ხდებიან, უყოყმანოდ ასრულებენ თქვენს დავალებას. თქვენ მათთვის საამაყო და მისაბაძი ადამიანი, კერპი ხართ. ჩვენ მათთან კონტაქტს ვერ ვამყარებთ. ახლოს არ გვიკარებენ, გაუცხოებულები ვართ, ეჭვის თვალით გვიყურებენ, თუ დასჭირდათ, ქვებითაც გამოგვეკიდებიან.

შეცვლილები არიან, თითქოს ჩვენ ქართველები არა ვართ. თქვენთან თავს მონად გრძნობენ და, შიშის დიდი შეგრძნებაც ჩანს მათ ურთიერთობაში თქვენდამი. თქვენც კმაყოფილი ხართ მათი მორჩილებით და თქვენდამი მაამებლობით. თქვენი მენტალიტეტი შეიძლება ჩაითვალოს შესანიშნავ ექსპერიმენტად. თქვენ მათთვის ხართ დიდებული ბატონი. ეს უკვე ჰგავს ფეოდალურ წყობას. მათ სხვა არაფრის უნარი არა აქვთ, იქნებიან მორჩილი მონები. უხერხული ხომ არ არის, როცა ქვეყანას სათავეში მოსულ ახალ მთავრობას საყვედურობთ, რომ ქვეყანას უკან დააბრუნებენ? კი, მაგრამ მონათმფლობელობას იქით ხომ უკვე აღარაფერია? თქვენ, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ბრძანდებით და თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობთ იმით, რომ ამდენ მონაში არც ერთი სპეტაკი არ არის! ეს ძალზე საინტერესო ექსპერიმენტია. ერთი რეალობის შესახებ უნდა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო. თუმცა, წინასწარ გამცნობთ, რომ ეს ჩემი სუბიექტური აზრია... შეიძლება, ოდესმე სადმე, დედამიწაზე დაბადებულიყვნენ ადამიანები, რომლებიც ერთნაირად ჭკვიანები იყვნენ? მე იმავეს დავამტკიცებ გენიალური ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსით. თქვენ კი, როგორც პოეზიის ტრფიალი, ვიცი, მაშინვე გაიგებთ.

**„თავის ბედს მონებს ყველა არსი, ყველა ატომი,**
**და კაცი ვერ ხსნის ბედისწერის სვლებსა და მუღამს,**
**არც ყველა ქვირითს უწერია თევზად გახდომა,**
**არც რკო ყოველი გამხდარა მუხა.**
**ყველა ღირსეულს ძეგლის დადგმა რომ ღირსებოდა,**
**მაშინ ქვეყანა სასაფლაოდ გადიქცეოდა".**

თქვენ, ცხადია, იცით ეს და ამიტომ ფლობთ თქვენი მონების თავებს და განკარგავთ იმათ. მთავარია, თქვენ იყოთ სათანადო სიმაღლეზე და დანარჩენებსაც მიუჩინოთ სათანადო ადგილს – მხედველობაში მაქვს საზოგადოების შედარებით მაღალი დონის ერთობა. იმათ თავებსაც თქვენ განკარგავთ. აქ უფრო მეტი შეცდომებიც გამოჩნდა თქვენს მეთოდოლოგიაში, ამიტომაც აშკარად გამოიკვეთა საკადრო პოლიტიკა.

ისევ პოეზია მოვიშველიოთ, ბატონო ჩემო, რადგან გენიოსი პოეტები ყოველთვის გვასწავლიან სიბრძნეს, რომელზე უარის თქმაც ცოდვაა.

**„კაცი თავის თავს რომ ვერ პოულობს,**
**ასე მგონია, სხვის ადგილს იჭერს,**
**მოგვიანებით ანდა დროულად**
**ჩვენ შორის იწვევს ღიმილს და იჭვებს.**

**ის ეთვისება თამაშს და ნიღაბს,**
**ათას სიყალბეს, ათას სიჭრელეს.**
**დააბრალებენ რაღაცას იღბლად,**
**და სხვა რა გზა აქვს, ისიც იჯერებს.**

**სხვის ხვედრს იჩემებს, სხვის მოწოდებას,**
**სინდისისა და ტანჯვის გარეშე**
**და რომ მოკვდება, ღმერთო შეგცოდე,**
**მგონია, წვება სხვის სამარეში".**

ბატონო პრეზიდენტო, მართალს ბრძანებს ბატონი ბიძინა ივანიშვილი, სასამართლოს ყველაფერს ნუ მიანდობთ, თუკი საკითხის გადაჭრა უპრობლემოდ შეიძლებაო. აღადგინეთ ისევ 62 მსახიობი თავის ძველ უფლებებში. ამდენ უმუშევარს 62 უმუშევარი რომ მიემატება, გართულდება პრობლემის გადაჭრა. უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ მინდა დავუკარგო ღირსება, რომელიც აქვს ბატონ მიშა ანთაძეს. იგი კარგი ფილოლოგია, წერს ლექსებს, ესეებს, მოთხრობებს და ხშირად პრეზენტაციებსაც აწყობს. იქნებ ამ პროფილით გადაიყვანოთ სადმე, თორემ მაყურებელს სრულიად დაკარგავს თეატრი. გთხოვთ, აღადგინოთ სამართლიანობა!

ბატონო, ბოლოს ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან. რას ნიშნავს „მეტი სარგებელი ხალხს"?

მეტი რომ მივცეთ ადამიანს, ხომ უნდა ვიცოდეთ, რაზე მეტია ეს თქვენი მეტი? თუ ადამიანს არაფერი აქვს, თქვენი მეტი როგორ გაიზომება?

**რევაზ თავართქილაძე,**
**მსახიობი**

**P. S. თქვენ მე არ მიცნობთ, ნუ ეცდებით, გამიხსენოთ, ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრილვართ. მე არასოდეს ვიყენებ თვითრეკლამას და პოპულისტობას. თქვენ ვალდებული ბრძანდებით არა რთულად, არამედ მარტივად გადაწყვიტოთ ქუჩაში გამოყრილი უდანაშაულო მსახიობების ბედი. პირადად მე საშინელ ტკივილს ვიტან და დეპრესიული მდგომარეობა მაქვს, სხვებიც არ არიან მოლხენილნი, ყველა გამწარებულია, შველა სჭირდება ხალხს, ბატონო პრეზიდენტო!**

**რ. თ.**

ქარიშხალი ჟიჟაში!



# ვინ აგებს პასუხს, თუკი საქართველოში დანაშაულება იმატა?

**მას შემდეგ, რაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" 1 ოქტომბრის არჩევნებში დამარცხება აღიარა, საქართველოს მოქალაქეების ერთი ნაწილი გამოხატავს შიშს კრიმინალური სიტუაციის გართულებასა და „ქურდული სამყაროს" დაბრუნებასთან დაკავშირებით. რით არის განპირობებული ასეთი შიში, ვის შეიძლება ამოძრავებდეს არაჯანსაღი ინტერესები და ვინ არის პასუხისმგებელი კრიმინალური ვითარების გაუარესებაზე, თუკი ეს მართლაც ასეა?**

ქურდობა, ყაჩაღობა, ავტომობილებისა თუ ბინების ძარცვა, ხულიგნობა თუ თავდასხმა ბანკზე – ეს იმ დანაშაულთა სახეობების ნაწილობრივი ჩამონათვალია, რასთან დაკავშირებული ინფორმაციაც არჩევნების შემდეგ აქტიურად ვრცელდება ოფიციალური თუ არაოფიციალური, სანდო თუ არცთუ სანდო წყაროების მიერ. შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ ქსელებში გამოცხადებულია განგაში – ფაქტები ხშირდება და ქვეყანაში კრიმინალური ფონი დღითი დღე მძიმდება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვითხრეს, ამ ეტაპზე არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა ბოლო დღეებში ჩადენილ დანაშაულთა შესახებ, თუმცა შეკითხვაზე, გახშირდა თუ არა დანაშაულის ფაქტები, სამსახურის ხელმძღვანელი სალომე მახარაძე ერთგვარ მინიშნებას მაინც აკეთებს:

**„2 დღის მონაცემებით, ფაქტია, რომ რამდენიმე შემთხვევა იყო, თუმცაღა, ყოველდღიურად სამი და ოთხი მნიშვნელოვანი ყაჩაღობა არ ხდება... მაგრამ ამას დრო სჭირდება, რომ ასეთი შეფასება გავაკეთოთ".**

ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის გამო, სრული სიზუსტით ვერც ნუგზარ წიკლაური ლაპარაკობს, თუმცა მე-7 მოწვევის პარლამენტში უმრავლესობაში მყოფი დეპუტატი, რომელსაც ახალ პარლამენტში უმცირესობაში ვიხილავთ, არ გამორიცხავს, რომ სიტუაცია მართლაც დამძიმდა. ჩვენთან საუბრისას ნუგზარ წიკლაური ხაზს უსვამს შექმნილი სიტუაციის პოლიტიკურ შემადგენელს, რაც ქურდების დაბრუნების მოსალოდნელობას უკავშირდება:

**„როგორც ვიცით, „ქართული ოცნების" ლიდერები ხვდებოდნენ ქურდებს და მათ ჰპირდებოდნენ დაბრუნებას საქართველოში. ჩვენ მოვისმინეთ რამდენიმე ჩანაწერი, სადაც თავად კრიმინალური ავტორიტეტები ამბობენ იმის თაობაზე, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ დაბრუნდებიან საქართველოში. ცხადია, რომ ამას უსმენენ ის ადამიანებიც, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ იყოს ქვეყანაში არეულობა და ვისთვისაც ასეთ პერიოდში არის ხოლმე ყველაზე უფრო დიდი გასაქანი".**

ამ კომენტარში ნახსენებ ფარულ აუდიოჩანაწერებს, რაც ხელისუფლებამ 26 სექტემბერს გამოაქვეყნა, სისულელე და ფაბრიკაცია უწოდეს კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა. მათთვის, ვინც ამგვარ მოსაზრებას იზიარებს, დასტურად ის ფაქტიც კმარა, რომ ამ ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, ჩანაწერებში ვისი ხმაც ფიგურირებს და კრიმინალურ ავტორიტეტად მოიხსენიება, ტელეკომპანია „მაესტროს" ინფორმაციით,"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორი აღმოჩნდა.

ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებულ რიტორიკაზე ამახვილებს ყურადღებას საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი კახი კახიშვილი და ჩვენთან საუბარში გამოთქვამს აზრს, რომ ძველი ხელისუფლება მოსახლეობაში „ქართული ოცნების" საწინააღმდეგო განწყობების დამკვიდრებას მეტად არასაკადრისი მეთოდებით ცდილობს:

**„ამკვიდრებდნენ არჩევნებამდე, რომ კოალიცია არის ქურდული წარსულის დაბრუნება; ახლა კი შეეცდებიან, რომ თავისივე ადამიანების მონაწილეობით შექმნან ილუზია, რომ თითქოს ვიღაცები გამოჩნდნენ საქართველოში, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან დაბრუნებულები, შავი გაგების მატარებლები, და იმათ არიეს კრიმინოგენური სიტუაცია... მერე გამოვლენ და იტყვიან, ჩვენ ხომ გაფრთხილებდითო, აი, ვისთანა გაქვთ საქმეო?!"**

ახალი მთავრობის ფორმირებამდე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სახელმწიფო ორგანოების გამართულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედ მთავრობას...

საკუთარი აზრის გასამყარებლად კახიშვილი პოლიციის პასიურობაზე ლაპარაკობს, რაც, არაერთი სხვა ადამიანის მსგავსად, მისთვისაც აშკარა და თვალშისაცემია. მათთვის კვლავაც უპასუხოდ რჩება შეკითხვა – ხომ არ იმალება ყოველივე ამის უკან შინაგან საქმეთა სამინისტროს სოლიდარობა არჩევნებში დამარცხებული პარტიის მისამართით? მართალია, ასეთ მოსაზრებას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს, მაგრამ, ალბათ, მათთვისაც გასაგები უნდა იყოს ოპონენტების ლოგიკა, რომ რაკიღა დანაშაულის მატებაზე ვლაპარაკობთ, ესე იგი შინაგან საქმეთა სამინისტრო, სულ ცოტა, ვერ უმკლავდება შექმნილ სიტუაციას.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და, მათ შორის, ნუგზარ წიკლაურიც, ადასტურებენ, რომ წესრიგის დამყარება ახალი მთავრობის დამტკიცებამდე კვლავაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედ ხელმძღვანელობას ევალება. გავიხსენოთ, რომ მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ეკა ზღულაძემ სექტემბრის ბოლოს რამდენჯერმე მისცა გარანტია საქართველოს მოქალაქეებს, რომ აპოლიტიკური უწყება სრულად დაიცავდა მათ უსაფრთხოებას.

**„ახალი მთავრობის ფორმირებამდე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სახელმწიფო ორგანოების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედ მთავრობას",** – განაცხადა 3 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის, „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა და პასუხისმგებლობის საკითხზე ყურადღება 4 ოქტომბერსაც გაამახვილა: **„მინდა საჯარო მოხელეებს მივმართო, – პოლიციის თანამშრომლებს მათ რიცხვში და, პირველ რიგში, – დაიცავით კანონიერება და ღირსეულად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა, რაც თქვენ კონსტიტუციით გევალებათ... როგორც დავპირდით ჩვენ, აბსოლუტური უმრავლესობა საჯარო მოხელეებისა შეინარჩუნებს თავიანთ ადგილებს. ეს ეხება პოლიციასაც, პროკურატურასაც, სპეცსამსახურებსაც – ყველას ეხება ეს"** – ამბობს ბიძინა ივანიშვილი..

რაც შეეხება მოსახლეობის პროგნოზებსა და განწყობას, რადიო თავისუფლების მიერ 4 ოქტომბერს ჩატარებულმა მცირე გამოკითხვამ გამოავლინა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა ოპტიმიზმს ინარჩუნებს.

**ლელა კუნჭულია,**
**რადიო „თავისუფლება"**

რა ხდება?!.

## რუსთავში მინიმარკეტი გაძარცვეს




**რუსთავში მეგობრობის გამზირზე მდებარე მინიმარკეტი ხუთშაბათს გაძარცვეს. შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია და კრიმინალური სამსახურები მუშაობდნენ. არსებული ინფორმაციით, ობიექტის ძარცვის შედეგად 200 ლარია წაღებული. მარკეტი კორპუსის პირველ სართულზეა განთავსებული. მეზობლებს ხმაური არ გაუგიათ. საქმესთან დაკავშირებით გამოძიებაა დაწყებული.**

ინტერპრესი

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# შემოწმება დემოკრატიაზე

ცოტა ხნით ადრე მანამ, სანამ მიხეილ სააკაშვილი აღიარებდა თავის დამარცხებას, ერთ-ერთმა მაღალი რანგის აზერბაიჯანელმა ხელმძღვანელმა მითხრა, რომ საქართველოს პრეზიდენტს არაფერი აქვს სანერვიულო. ის არ არის ერთადერთი, ვინც ვერ გაიანგარიშა შედეგები. თბილისიდან ვაშინგტონამდე ცოტა ვინმე თუ ელოდებოდა გამაოგნებელ წარმატებას ოპოზიციური მოძრაობა „ქართული ოცნებისა“, რომელსაც სათავეში ბიძინა ივანიშვილი უდგას და რომელმაც გამოაცხადა თავისი გამარჯვების შესახებ საქართველოში პარლამენტის არჩევნებში.

ამ გეოპოლიტიკური მიწისძვრის შემდეგ კავკასიაში ვნებანი ჯერ ისევ არ დამცხრალა. ეს არის უმნიშვნელოვანესი რეგიონი მსოფლიოში, რომელსაც ყურადღება არ აკლია. იგი აერთებს ცენტრალურ აზიას ევროპასთან და არის კორიდორი რუსეთში ირანისთვის, თურქეთისა და ახლოაღმოსავლეთის დანარჩენი ქვეყნებისთვის.

ეროში ირაკლი ალასანია და დიპლომატიის ვეტერანი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე მყარად დგანან პროდასავლურ პოზიციებზე.

მაგრამ რუსეთი, როგორც ჩანს, გავლენას მოახდენს საქართველოს ახალ მთავრობაზე, შეეცდება შევიდეს ეს ახალი ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ორგანიზაციაში კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, შესაძლოა ევროაზიურ კავშირშიც, რომელიც ვლადიმერ პუტინის გონებაში წარმოქმნილი კვაზი-იმპერიაა.

რუსეთთან მეგობრულ სალი მისი მომზადების პერიოდში. თუმცა ვითარება არჩევნების წინა პერიოდში იყო დაძაბული, საზოგადოება კი პოლარიზებული, და დრო და დრო აღინიშნებოდა ძალადობის შემთხვევებიც კი. კამპანია ხშირად აქცენტს აკეთებდა მოქმედი ხელისუფლების უპირატესობაზე, ერთი მხრივ და კერძო კაპიტალზე — მეორე მხრივ, თითქმის უყურადღებოდ რჩებოდა კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმები და პროგრამები.

გაერთიანებათა, კრებებისა და გამონათქვამების თავისუფლება მთლიანად დაცული იყო. მაგრამ სიტუაციას არჩევნების წინ ჩრდილს ჰფენდა პარტიული აქტივისტებისა და მათი პარლამენტის არჩევნებს რუსეთში, სადაც აღინიშნა ათასობით დარღვევები. აქ არ არის არანაირი როქირება პუტინი-მედვედევის მსგავსად.

### რუსეთის გამარჯვება საქართველოში პარლამენტის არჩევნებზე

სააკაშვილი ამერიკის მყარი მოკავშირეა, რომელიც 2003 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთელ აქცენტს აკეთებდა დასავლური დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე და კორუფციასთან ბრძოლაზე. მან გვიჩვენა, რომ მის მიერ წამოწყებულ რეფორმებს შეუძლიათ მოიტანონ თავიანთი შედეგები, თუნდაც მისი პარტიის მიერ ხელისუფლების დაკარგვის ფასად. მართალია, ივანიშვილმა ამ არჩევნებში დაახარჯა ასობით მილიონი დოლარი პირადი ქონებიდან, საქართველოს მმართველი პარტია, როგორც ჩანს, არც კი ცდილა „შეასწოროს“ ხმების დათვლა.

„ქართულმა ოცნებამ“ გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სექტემბრის ბოლოს, როდესაც გაჩნდა საქართველოს ციხეებში პატიმრებზე ზემოქმედებათა ვიდეოკადრები, რომლებმაც ძლიერი საერთოეროვნული სკანდალი გამოიწვია. ციხიდან გამოტანილ ვიდეოჩანაწერებს, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ აწამებს და აუპატიურებს ციხის დაცვა პატიმრებს, დიდი რეზონანსი მოჰყვა. გამოკითხვების მონაცემების თანახმად, მმართველი პარტიის მხარდაჭერის დონე მალე 20 პროცენტით დაეცა.

მაგრამ ეს ისტორია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ხელისუფლების მომავალი გადაცემა ნამდვილი გამოცდა იქნება საქართველოსთვის, რომლის პოლიტიკურმა ელიტამაც უნდა უზრუნველყოს მშვიდობა ქვეყანაში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ დაუშვან აქ ისეთი კორუფცია და უკანონობა, რაც ხდება უკრაინაში. ამას გარდა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დამარცხების შემდეგ, რაც 2010 წლის იანვარში უკრაინის მოქმედმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა მიაყენა ნარინჯოვანი რევოლუციის ლიდერებს პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს და ექს პრემიერ-მინისტრს იულია ტიმოშენკოს, მოსკოვის გავლენა კიევზე გაძლიერდა.



ივანიშვილი საკმაოდ წარმატებულ ბიზნესს ეწეოდა რუსეთში, და ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ ურთიერთობა თბილისსა და მოსკოვს შორის გაუმჯობესდება. შეიძლება ისიც, რომ რუსეთი ნებას მისცემს ქართულ ღვინოსა და სახელგანთქმულ წყალ „ბორჯომს“ გავიდნენ რუსეთის ბაზარზე. მაგრამ ამავე დროს ახალი მთავრობა ძნელად რომ კარდინალურად შეცვლის თავის პოზიციას რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ოკუპაციასთან დაკავშირებით. და არავინ ფიქრობს, რომ ქართველი ხალხის აზრი ამ ოკუპაციასთან დაკავშირებით ერთბაშად შეიცვლება.

### საქართველო უნდა იყოს პრორუსული

ასევე მეტად ნაადრევია იმის პროგნოზის გაკეთება, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობა უარს იტყვის სააკაშვილის მიზნებზე ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით საქართველოს მეგობრებს იმედი აქვთ, რომ იგი დარჩება შორეულ კავკასიაში დემოკრატიისა და საბაზრო რეფორმების საყრდენად. ივანიშვილის ორი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის დარგში — საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი გაქართველოს შეექლო მიეცა მისთვის სახმელეთო დერეფანი ირანში სომხეთის გავლით. ასეთ სატრანსპორტო არტერიას ძნელად რომ გაადევნო თვალყური, და მასზე შეიძლება გაატარო გაცილებით მეტი ტვირთი, ვიდრე ჰაერით.

მაგრამ ყველაზე მეტად ეს არჩევნები გაოცებს თავისი შინაგანი განზომილებით. ეს არის ისტორიული მოვლენა, ვინაიდან მმართველმა პარტიამ საშუალება მისცა ოპოზიციას გაემარჯვა მასზე. ასეთი არჩევნები — დიდი იშვიათობაა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

პოლიტიკური ზეგავლენა კავკასიის მთებში საუკუნეებით გაბრწყინებული ტრადიციაა, თუმცა ჯერჯერობით არაფერი ამისი მსგავსი საქართველოში არ შეინიშნება. როგორც ჩანს, არჩევნებზე არ ყოფილა მასშტაბური გაყალბებები, რასაც ადასტურებენ ცენტრალური საარჩევნო კომისია და ეუთოს დელეგაცია, რომელმაც ამ არჩევნებს მეტად „შეჯიბრებითი“ უწოდა.

### არჩევნები საქართველოში და დასავლეთის მერყეობა

არჩევნები მართლაც იყო შეჯიბრებითი და მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიაში მთემომხრეების დევნისა და დაშინების შემთხვევები, რაც ხშირად დაპატიმრებებითა და დაჯარიმებებით მთავრდებოდა. და ეს ძირითადად მიმართული იყო ოპოზიციის წინააღმდეგ. ეს ქმნიდა უნდობლობის ატმოსფეროს რბოლის მონაწილეთა რიგებში.

ახლა კი უკვე იწყება რეალური სიმშვიდე, ვინაიდან წინ — საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბებაა. დამარცხება არჩევნებში უნდა ნიშნავდეს შესვენებას სააკაშვილის პოლიტიკურ კარიერაში. ივანიშვილმა მოუწოდა მას გადადგეს, მაგრამ ეს მოწოდება უარყოფილი იქნა. სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა 2013 წელს მთავრდება, და მაშინ ქვეყანა აირჩევს ახალ პრეზიდენტს.

მეთვალყურეებისთვის გარედან პარლამენტის არჩევნები საქართველოში იქცა ამ ქვეყნის შემოწმებად სააკაშვილის დემოკრატიული მართვისა და რეფორმების პრინციპებისადმი ერთგულებასთან დაკავშირებით. საქართველომ წარმატებით გაიარა ეს შემოწმება და გამოიყურება უკეთ, ვიდრე ბელარუსი, რუსეთი და სხვა ქვეყნები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს კონტრასტი განსაკუთრებით მკვეთრია, თუ შევადარებთ პრეზიდენტისა და

სააკაშვილი, რომელიც შესაძლოა, უკვე ფიქრობს ხელისუფლებაში დაბრუნებაზე, უპირატესობას ანიჭებს იმას, რომ ელეგანტურად დატოვოს პოლიტიკური სცენა მომდევნო შემოდგომაზე. მან განაცხადა, რომ მზად არის, იმუშაოს „ქართულ ოცნებასთან“ თავისი საპრეზიდენტო ვადის დამთავრებამდე. თუ ეს ასეა, ის განიმტკიცებს თავის რეპუტაციას წარმატებული რეფორმატორისა, რომელიც ცდილობს, გარდაქმნას ეს ძველი და შესანიშნავი ქვეყანა.

**არიელ კოენი,**
მეცნიერებათა დოქტორი, რუსული და ევრაზიული კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

## დედამიწის ზურგზე



**მოტვლეპილი თავი წარმატების საწინდარია, გამოარკვიეს ამერიკელმა მეცნიერებმა**

თავმოტვლეპილი მამაკაცები აღიქმებიან როგორც უფრო ვაჟკაცურები და დომინანტურები, გვიდასტურებს გამოკითხვები. ამას გარდა, ისინი გვეჩვენებიან უფრო მაღლები და ძლიერები, ვიდრე არიან. მაგრამ მელოტებს აქვთ მინუსებიც — მამაკაცები ქოჩრის გარეშე გვეჩვენებიან უფრო ნაკლებად მიმზიდველები და უფროსები თავიანთ ასაკთან შედარებით.

* * *

**შვედეთის მეფეს შეურაცხყოფა მიაყენეს, როდესაც წარმოაჩინეს იგი, თუ როგორ მიირთმევს პიცას შიშველ ქალთან**



როგორც სკანდალური სურათის ავტორმა ელიზაბეტ ოლსენ ვალინმა განმარტა, მისი ნაწარმოები — ზუსტი სატირის მაგალითია, რაც შვედეთში არ გვყოფნის. ამას გარდა, ქალი ამტკიცებს, რომ სურათი შორს არ არის სიმართლისგან: მონარქი დიდ დროს ატარებდა საეჭვო დაწესებულებებში, სადაც ქალებს ეპყრობიან სწორედ ასე.

* * *

**ტალახის ნაკადმა, რომელმაც დაფარა ჩინეთის დაწყებითი სკოლა, 18 ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა**



ზვავმა, რომელმაც სასწავლებელს გადაუარა, დააზარალა, აგრეთვე, საცხოვრებელი სახლიც: მისმა სამმა მცხოვრებმა მოახერხეს გადარჩენა, ერთ მათგანზე გამოცხადებულია ძებნა. ტრაგედიის ადგილზე დაახლოებით 2 ათასი მაშველი მუშაობს, მაგრამ მათი მუშაობა რთულდება იმით, რომ სექტემბრის დასაწყისში რეგიონში მომხდარმა მიწისძვრამ სერიოზული ზიანი მიაყენა მაზრის ინფრასტრუქტურას.

* * *

**იაპონელმა კოსმონავტმა კოსმოსში მანიპულატორი-ხელის დახმარებით კონტინენტთაშორის სადგურზე ხუთი მიკროთანამგზავრი გადასვა**

აკიხიკო ხოსიდეს ბრძანებით, „ხელმა“ თანამგზავრს მიმაგრებული კონტეინერიდან ამოიღო თანამგზავრები და გადასვა იგი სათანადო ადგილზე, შემდეგ ამ თანამგზავრებს მიენიჭათ სიჩქარე ზამბარის დახმარებით. ასეთი ხერხი, რაკეტის დახმარებით გაშვებისგან განსხვავებით, მრავალგზის ხსნის ვიბრაციისა და გადატვირთვის პრობლემას. ეს ამარტივებს თანამგზავრის კონსტრუქციას და ამცირებს მის ღირებულებას.



**არჩევნები მშვიდობიანად დამთავრდა, გამარჯვებულ-დამარცხებულიც ცნობილია, თუმცა, ცესკო სამი საათის დასათვლელს სამი დღეა, ითვლის. როგორც ჩანს, თითოეულ პროცენტზე მიდის ომი – რაც ნაკლები პროცენტით მოვა უმრავლესობა, მით ნაკლები უფლებებით ისარგებლებს და ყოფილ მმართველ გუნდს სიტუაციის მართვის მეტი შანსი ექნება. დასავლეთი კი მოგვიწოდებს, რომ მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ ითანამშრომლოს და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული პროცესი მიმდინარეობს ქვეყანაში. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნების შემდეგ პირველი ბრიფინგიც გამართა – სულ თითის ქნევით ემუქრებოდა გამარჯვებულ კოალიციას და დარჩა შთაბეჭდილება, რომ ყოფილი მმართველი პარტია თანამშრომლობისთვის ნაკლებად არის მზად. რამდენად შესაძლებელია ამ ორი ძალის პოლიტიკური თანაცხოვრება და მოსალოდნელია თუ არა ქვეყანაში არეულობის შემოტანისა და პროვოკაციების მცდელობა, ამ თემებზე პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება.**

# ბაქრაძის დღეგამოშვებით რეჟიმში გადატანილი სინდისი,

## ანუ სადაც არ უნდა იყოს ჩიორა, ის მაინც ყვავის ბახალად რჩება



**— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთა „ქართული ოცნების“ მიმართ. „ნაციონალური“ სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ თითის ქნევით აღნიშნა, რომ მოსვენებას არ მისცემს ახალ ხელისუფლებას და სათითაოდ მოითხოვს იმ დაპირებების შესრულებას, რაც არჩევნებამდე გასცეს. ჯერ პარლამენტიც არ შეკრებილა და საინტერესოა, რა შეუსრულებელ დაპირებაზეა ლაპარაკი. გვახსოვს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ პირად მტრად აღიქვამდა და მტერსაც ეძახდა, როგორ ფიქრობთ, დღესაც მსგავს დამოკიდებულებასთან ხომ არ გვაქვს საქმე?**

— ბაქრაძე არასოდეს მიმაჩნდა გულმავიწყ ადამიანად და მიკვირს, რომ ის მოქმედებს პრინციპით – „მურა შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდა“. ვიდრე შეამოწმებს, ვინ ვის რას დაპირდა, ჩახედოს საკუთარ, და იმ პოლიტიკური გუნდის პოლიტიკურ ბიოგრაფიას, რომელსაც ის მეხოტბედ უდგება. სჯობს აღიდგინოს ის კარგი თვისებები, რომლითაც იგი უფრო ახალგაზრდა ასაკში ხასიათდებოდა.

რაც შეეხება იმას, რომ ვინმე ვინმეს ჩაუსაფრდება, ხომ იცით, ნათქვამია, „ისეთმა ფურმა ჩამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო“, ძუძუგამშრალ „ნაციონალურ მოძრაობას“ სხვის წველადობაზე საუბრის უფლება არ აქვს.

**— საზოგადოებაში უკვე გაჩნდა ეჭვი, რომ „ნაცმოძრაობა“ სხვადასხვა პროვიკაციებსა და მავნებლობებს მიმართავს, კოალიციის დისკრედიტაციისთვის, თქვენი შეფასებით, ეს მოსალოდნელია?**

— აბა რას იზამენ! პატარა მავნებლობებზეც და დიდ მავნებლობაზეც მზაობას აცხადებს გუნდი, რომლის გენერალური მდივანი რატომღაც არ ჩანს. რა იქნა მიშა მაჭავარიანი, ნაწყენი ხომ არ არის, რომ თეტრის რეჟისორმა აჯობა ამ შეუცვლელ პოლიტიკოსს? ასე თუ ისე, სატკივარი ბევრი აქვს მოსაშუშებელი „ნაციონალურ მოძრაობას“. თუ ეყოფათ გონიერება, რომ იყვნენ კონსტრუქციულნი, ისინი კიდევ შეიძლება გარკვეული დროის მანძილზე დარჩნენ პოლიტიკურ არენაზე. თუ არა და, არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ახალი მემარჯვენეების“ და „თავისუფალი საქართველოს“ ბედი გაიზიარონ – საკუთარი პარტიების პოლიტიკურ საქმიანობას სამომავლოდ უფრო კრიტიკულად შეხვდნენ და შემოქმედებითი შვებულება ამჯობინონ.

**— სხვათა შორის, გიგა ბოკერიამაც დაგვიქნია თითი – ნუ გავიწყდებათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს არის და მანამდე არავინ იცის, რა მოხდებაო. როგორც ჩანს ყოფილი ხელისუფლებიდან თანამშრომლობას არავინ აპირებს და ეს სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორი იქნება ახალი ხელისუფლებისთვის...**

**— უცხოელებისგან მოდის მესიჯები, რომ მათ სურთ, ერთად იხილონ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, რომლებიც ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯებს ერთობლივად გადადგამენ. „ნაციონალთა“ ბუნებიდან გამომდინარე, ეს რამდენად მოხერხდება?**

— ძალიან სამართლიანი და დროულია ჩვენი დასავლელი მეგობრების მოწოდებები აუცილებლობის შესახებ, რომ იყოს ერთიანობა ქვეყნის პერსპექტივის ერთობლივად გასაკვალად. მით უმეტეს, როცა დაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის საგარეო ვექტორების თანხვედრა 100%-იანია. საუბარი იმაზე, ვინ რომელ დღეს ვისი მისამართით რა თქვა, მხოლოდ დაგვაშორებს საერთო მიზანს, რადგან კინკლაობის დრო წავიდა. ახლა მართლა საქმეა საჭირო ლაპარაკის ნაცვლად, რასაც თავის დროზე დაგვპირდნენ, მაგრამ არ შეასრულეს „ნაციონალებმა“. ამიტომაც გადაიყვანეს ჩოქბჯენში საქართველოს ამომრჩევლებმა ეს პოლიტიკური მოძრაობა.

რასაკვირველია ეს საქართველოსთვის კეთილგანწყობილი ძალების მოწოდებაა, რადგან სურთ, იხილონ საქართველო ცივილიზებულ ქვეყნად და სრულიად გაცნობიერებული ინტერესი აქვთ იმისა, რომ ისეთ ქვეყანასთან ითანამშრომლონ, რომელიც სანდოა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განვითარებაში.

**— ჩვენ ვიცით, რომ სააკაშვილი ამბობს ერთს და აკეთებს მეორეს. რამდენად სარწმუნოა, მისი მშვიდობიანი ტონი და განცხადება, მოდით ერთად ვიმუშაოთო?**

— ეს არის განცხადება იმ ადამიანების გასაგონად, ვინც აიძულა გამოსულიყო ასეთი მიმართვით. ეს არ არის არც მისი ინიციატივა, ტექსტიც სხვისი დაწერილია. გუნება-განწყობაც შექმნილია განსხვავებული ადამიანისგან, იმ ადამიანისგან განსხვავებული, რომელიც აქამდე აღმგზნებ საშუალებებს აძლევდა პრეზიდენტს დასახმარებლად. ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ადამიანი, ვინც სააკაშვილს დამამშვიდებელი აბი მისცა. ეს იყო წინაპირობა იმისა, რომ ის ყოფილიყო ადეკვატური, ზრდილობიანი და სასიამოვნოდ მოსასმენი. თუმცა, რეალობა უფრო მკაცრია, ვიდრე თითოეული ჩვენგანის ოცნება, ამიტომ ზედმეტი ოპტიმიზმის საფუძველი არ უნდა ვიქონიოთ.

სამწუხაროდ, კვლავ მოწმენი ვართ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, განურჩევლად იმისა, ის ხელისუფლებაშია თუ უმცირესობაში, არ იცვლის არც ნირს, არც ფერს და პრაქტიკულად, ყველაფერს წარმოაჩენს არა რეალობის, არამედ საკუთარი სარგებლის მიხედვით ანუ – „მეტი სარგებელი მე“ როგორც იყო, ასევე დარჩა „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითად დევიზად.

**— ამის თქმის საფუძველს ახლა რა გაძლევთ?**

— ის, რაც ხდება საარჩევნო ოლქებში, უბნებში. რა მაძლევს და, ნაბრძანები დუმილი იმის შესახებ, რაც მოხდა ხაშურში და საარჩევნო უბნებში სპეცრაზმის შესვლის შესახებ კატეგორიული უარყოფა. თქვეს, რომ არ ყოფილა ეს ფაქტი და ამ სიტყვას არ გადადიან. როდესაც იმას, რაც თვალსაჩინოა, ასე უტიფრად უარყოფ, გამოდის, რომ სადაც არ უნდა იყოს ჩიორა, ის მაინც ყვავის ბახალად რჩება.

**— პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ ყველა მიმართულებით პრობლემები შეიქმნება. მან საგარეო მიმართულებაზეც გაამახვილა ყურადღება და მოსალოდნელ შიდა პრობლემაზეც – არ თქვან, ბიუჯეტი დაგვხვდა ცარიელი და დანაპირებს ვეღარ ვასრულებთო. ეს ყველაფერი რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ ბატონმა ბაქრაძემ თავზე ხელი აიღო, ითმინა, ითმინა, და თვითონაც გაგვიჩიორდა. სირცხვილია ამ განცხადებების კეთება. როგორც მახსოვს, დათო თავმოყვარე ადამიანი იყო და ახლა, როგორც ჩანს, თავმოყვარეობა და სინდისი დღეგამოშვებით რეჟიმში გადაიტანა.

**— მედიაში გავრცელდა ინტერვიუ რუს პოლიტოლოგთან ალექსეი არბატოვთან, რომელიც ამბობს, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც სააკაშვილია, კაპიტულაციას უბრალოდ არ აცხადებენ. როგორც ჩანს, სააკაშვილის ნატურა მათთვისაც საკმაოდ კარგად ნაცნობია. არბატოვი ამბობს, რომ ამ პერიოდს სააკაშვილი ძალების აღსადგენად და პოზიციების გასამყარებლად გამოიყენებს. რამდენად რეალური პროგნოზია?**

— რასაკვირველია, ეს ზუსტი პროგნოზია და გარდა იმისა, რომ ალბათობაა, სწორედ ეს სურდეს სააკაშვილს, კიდევ უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ სხვა სახის ქმედებების უფლებას მას თავისი დანაშაულებრივი გარემოცვა არ აძლევს.

**— სხვათა შორის, გიგა ბოკერიამაც დაგვიქნია თითი – ნუ გავიწყდებათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს არის და მანამდე არავინ იცის, რა მოხდებაო. როგორც ჩანს ყოფილი ხელისუფლებიდან თანამშრომლობას არავინ აპირებს და ეს სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორი იქნება ახალი ხელისუფლებისთვის...**

— უნდა გავაცნობიეროთ, რომ როდესაც ქვეყანაში უშიშროების საბჭოს მდივანი არის ოპოზიციონერი, ის უკვე აღიქმება, როგორც საშიშროების საბჭო. ამიტომ ამ საშიშროებას უნდა დაუპირისპირდეს ისევ გონივრული ნაბიჯები თავდაჭერილობა, სიმართლე სიცრუის ნაცვლად, რამაც მოუტანა გამარჯვება „ქართულ ოცნებას“.

**„ნაციონალურ მოძრაობას“ ყველა კანონის დაბლოკვა შეუძლია. ეტყვის თავისი საბჭოს თავმჯდომარე მიშას „არას“ და მიშაც იტყვის „არას“. უკვე შეგვიძლია ბოკერიას საბჭოს ნამდვილი სახელი ვუწოდოთ – საშიშროების საბჭო, ნაცვლად უშიშროებისა.**

**— თუ თანამშრომლობა ვერ შედგა, მიხეილ სააკაშვილის გაზრდილი უფლებამოსილებები არ იქნება ხელისშემშლელი კოალიციის მუშაობისთვის?**

— სწორედ ამიტომ არის თავგამოდებული მცდელობა, რომ, ვიდრე კიდევ შესაძლებელია, აყალბონ და აყალბონ ხმები დარჩენილ საარჩევნო უბნებში, რომ სიმრავლე შესძინონ საკუთარ თავს. სწორედ ამისი ბრალია, რომ თავს იკლავს ცესკო, როგორმე 60% არ მიიღოს „ქართულმა ოცნებამ“. იმისათვის, რომ ვერ შეძლონ პარლამენტში პრეზიდენტის ვეტოს იგნორირება და მეორე განხილვით მიიღონ კანონი. ეს ნიშნავს, რომ ოპოზიცია, რომელიც ფლობს ზემოქმედების ყველანაირ საშუალებას და ძალოვან სტრუქტურებს, არის რეალური მმართველი სიტუაციისა ქვეყანაში, სადაც დაშინება, შანტაჟი, პროვიკაცია არის წლების განმავლობაში დახვეწილი ფორმა ნაციონალსადისტური მოძრაობისა.

**— სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დიღომში ვიღაცებმა ავტომანქანები დააზიანეს. როდესაც პატრული გამოიძახეს, იმის ნაცვლად რომ დამნაშავეების დაკავება ეცადათ, განაცხადეს, აბა, რა გეგონათ, მაგათ რომ აძლევდით ხმასო. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს პროვოკაციას...**

— ამას პატრულისა და მისი მანქანისთვის სურათის გადაღება და პირდაპირ საჩივრის შეტანა უნდოდა ნებისმიერ ორგანოში, რომლებშიც ამ პატრულისთვის სოლიდარობის გამოცხადების შემთხვევაში სულ მალე უმუშევრები დარჩებოდნენ.

**— ფაქტია, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა, შემთხვევითი არ არის ბოლო დღეებში მომხდარი ქურდობებიც. რაში ხედავთ გამოსავალს, კოალიციას ისევ იმისი იმედი უნდა ჰქონდეს, რომ შეიძლება მათ „ნაციონალური სიით“ გასული რამდენიმე მაჟორიტარი შეუერთდეს?**

— ეს არ არის ერთადერთი იმედი, ცხადია. ეს არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, საკმაოდ რეალური - გამომდინარე, თავად ნაციონალური მოძრაობის აქტიურობის ფორმებიდან.

**— ცესკოში ელჩების ვიზიტი ვერ ჩააყენებს სიტუაციას ნორმალურ კალაპოტში?**

— ეს იყო დახურული შეხვედრა, რაც საშუალებას აძლევდა გათარხნიშვილებულ ცესკოს თავმჯდომარეს, ელაპარაკა ტყუილები. ეს ადამიანი სანდო აღმოჩნდა მხოლოდ „ქრისტიან-დემოკრატებისა“ და „ევროპელი დემოკრატებისთვის“. ასევე – პასუხისმგებლობას თავარიდებული „ლეიბორისტებისთვის“. სხვას ამ ადამიანის ნდობა აღარ დარჩა და მასთან დახურულ კარს მიღმა შეხვედრა მხოლოდ თავის მოტყუებაა.

**— ანუ, ცესკო იბრძვის იმისათვის, რომ როგორმე 60%-მდე არ მივიდეს „ქართული ოცნება“, რომ შემდეგ მუშაობაში უკეთესად შეუშალონ ხელი?**

— ასეთ შემთხვევაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველა კანონის დაბლოკვა შეუძლია. ეტყვის თავისი საბჭოს თავმჯდომარე მიშას „არას“ და მიშაც იტყვის „არას“. უკვე შეგვიძლია ბოკერიას საბჭოს ნამდვილი სახელი ვუწოდოთ – საშიშროების საბჭო, ნაცვლად უშიშროებისა.

**— თქვენ ამბობთ, რომ ბოკერია მართავს სააკაშვილს?**

— არ მითქვამს, რომ ბოკერია მართავს... მიშას მმართველი ბევრი ჰყავს და ათი კაცი მაინც არსებობს მის irგვლივ ისეთი, რომელიც მასზე ახორციელებს ზეწოლას და რომლის წინაშეც, დიდი ალბათობით, მიშა, ალბათ, თავს ვალდებულად თვლის, რომ იყოს გარკვეული ბალანსი შენარჩუნებული, რადგან თანამზრახველთა ჯგუფს სხვაგვარი წესები აქვს ურთიერთობისა განსხვავებული თანამოაზრეთა ურთიერთობებისგან.

**— ანუ უნდა მოველოდეთ, რომ „ქართულ ოცნებას“ პრობლემებს შეუქმნიან?**

— ყოველ შემთხვევაში სურვილი რომ ექნებათ ამისი, ეჭვი არ მეპარება. გამოუვათ თუ არა, ყოველივე ეს, შეძლებენ თუ არა, უკან დააბრუნონ დროის ბორბალი, ამაში მალე დავრწმუნდებით.

რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩათვალეს, თითქოს არჩევნების წაგების შემდეგ უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრობენ და აღარ არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც გაერკვევიან მათ ვერაგობაში და შესაბამისად, გაანონგრატებენ საკმაოდ დიდ რიცხვს „ნაციონალებისას“ – ექნებათ მხოლოდ ანაკლიადან წითელ ხიდამდე მოძრაობის საშუალება – ეს იქნება და ეს.

**ლალი ზირაქიშვილი**

ცხელ გულზე

# ანბანური ჭეშმარიტება





**მას შემდეგ, რაც ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა, სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა: რამდენად დაუბერავს ახალი სიო სპორტულ ცხოვრებაში?**

**ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი მნიშვნელოვანწილად კუნთმაგარი ათლეტებისგან დაკომპლექტებული ზონდერბრიგადების თარეშს, ელემენტარული აქსიომაა. აღარაფერს ვამბობთ სადამსჯელო ოპერაციებში მინისტრისა და სხვა მაღალჩინოსანთა პირადი მონაწილეობის შესახებ.**

არანაკლებ აქტუალურად გვესახება ცალკეულ ფედერაციათა სათავეში კადრების პარტიული ნიშნით დაწინაურების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა, რაც ეროვნული ნაკრებების ობიექტურად დაკომპლექტების წინაპირობა უნდა გახდეს.

ალბათ, ახალ მმართველ ძალას არც ტალანტთა სამჭედლოს – სპორტის აკადემიის აღდგენა გამორჩება თვალთახედვის არედან, რომელიც, მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლებისა და, მთლიანად, განათლების სისტემის მსგავსად, უმოწყალოდ გაანადგურა ქართველი ხალხის მიერ ოპოზიციაში გადასროლილმა ნაციონალურმა მოძრაობამ.

და ბოლოს: შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, ზურაბ ზვიადაური, სოსო ჯაჭვლიანი, კახი კალაძე და მათი თანამებრძოლნი, დარწმუნებულნი ვართ, საპარლამენტო ტრიბუნასთანაც ისეთივე უკომპრომისონი იქნებიან, როგორც სარბიელზე.

დანარჩენზე ვნებების დაცხრომის შემდეგ ვისაუბროთ.

**გია პლატონიშვილი**







შოკური თერაპია



# ახალი სისხლი რუსთავში

**ეროვნულ ჩემპიონატში უფერულ სტარტს რუსთავის „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელის კობა ჟორჟიკაშვილის თანამდებობა შეეწირა.**

მის შემცვლელს გიორგი ყიფიანს (ასისტენტი – გიორგი დეკანოსიძე) კონტრაქტი კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის ბოლომდე გაუფორმა და კონკრეტული მიზანიც დაუსახა: ევროთასების საგზურის მოპოვება.

„მეტალურგი" მდიდარი ტრადიციების მქონე გუნდია და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა მოეთხოვება. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ გუნდს წარმატებები მოვაპოვებინოთ და საერთაშორისო სარბიელისკენ გავუკვალოთ გზა" – იმედიანადაა განწყობილი ქვემოქართლელთა ახალი დამრიგებელი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში „ზესტაფონს" ავარჯიშებდა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

კალათბურთი

# როლები იცვლება

**როგორც იცით, უკანასკნელ წლებში ნბა-ს კლუბები წინასასეზონოდ ევროპაში ჩამოდიან და საგამოფენო მატჩებს აქაურ ბობოლებთან მართავენ. ხომ გსმენიათ – დრონი მეფობენო. ჰოდა, ამიერიდან ამ კონტინენტების საკალათბურთო ინტეგრაცია ორმხრივი გახდება.**

ყინულმჭრელის პატივი ძველი სამყაროდან მადრიდის „რეალსა" და ვიქტორ სანიკიძის გუნდს სიენას „მონტეპასკის" ხვდათ წილად. ესაა პროფესიული საკალათბურთო ლიგისა და ევროლიგის საერთო პროექტი, რომელიც გაცვლით ხასიათს ატარებს.

ბუნებრივია, ქართველ გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი თანამემამულისა და მის ახალ პარტნიორთა თამაში იწვევს. გაუწყებთ, რომ აპენინელები პირველ შეხვედრას დღეს გამართავენ „სან-ანტონიო სფურზთან", ხოლო 8 ოქტომბერს მათი მეტოქე „კლივლენდ კავალიერზი" იქნება.

შეგახსენებთ, რომ ტეხასელებმა ქართველი ვარსკვლავი დრაფტზე 2004 წელს 54-ე ნომრად აიყვანეს, მაგრამ საბოლოოდ მისი გუნდში აყვანა არ ისურვეს, თუმცა სანიკიძეზე უფლებებს დღემდე ინარჩუნებენ.

დავძენთ, რომ დამდეგ სერიაში მონაწილეობას ზაზა ფაჩულია („ატლანტა"-ძ და თორნიკე შენგელიაც („ბრუკლინი"-ძ მიიღებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ევროპის ლიგა

# მხოლოდ შედეგები

**გაიმართა ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდის II ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

**„ა" ჯგუფი.** „ლივერპული" – „უდინეზე" 2:3, „ანჟი" – „იანგ ბოიზი" 2:0.

„ანჟი", „უდინეზე" – 4-4, „ლივერპული" – 3, „იანგ ბოიზი" – 0 ქულა.

**„ბ" ჯგუფი.** „ატლეტიკო" – „პლზენი" 1:0, „აკადემიკა" – „ჰაპოელი" 1:1.

„ატლეტიკო" – 6, „პლზენი" – 3, „აკადემიკა", „ჰაპოელი" – 1-1 ქულა.

**„გ" ჯგუფი.** „მარსელი – აელი 5:1, „გლადბახი" – „ფენერბახჩე" 2:4.

„მარსელი", „ფენერბახჩე" – 4-4, „გლადბახი", აელი – 1-1 ქულა.

**„დ" ჯგუფი.** „ნიუკასლი" – „ბორდო" 3:0, „ბრიუგე" – „მარიტიმუ" 2:0.

„ნიუკასლი" – 4, „ბორდო", „ბრიუგე" – 3-3, „მარიტიმუ" – 1 ქულა.

**„ე" ჯგუფი.** „მიოლდე" – „შტუტგარტი" 2:0, „სტიაუა" – „კოპენჰაგენი" 1:0.

„სტიაუა" – 4, „მიოლდე", „კოპენჰაგენი" – 3-3, „შტუტგარტი" – 1 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** „ეინდჰოვენი" – „ნაპოლი" 3:0, აიკი – „დნიპრო" 2:3.

„დნიპრო" – 6, „ნაპოლი", „ეინდჰოვენი" – 3-3, აიკი – 0 ქულა.

**„ზ" ჯგუფი.** „ბაზელი" – „გენკი" 2:2, „ვიდეოტონი" – „სპორტინგი" 3:0.

„გენკი" 4, „ვიდეოტონი" – 3, „ბაზელი" – 2, „სპორტინგი" – 1 ქულა.

**„თ" ჯგუფი.** „ნეფთჩი" – „ინტერი" 1:3, „რუბინი" – „პარტიზანი" 2:0.

„ინტერი", „რუბინი" – 4-4, „ნეფთჩი", „პარტიზანი" – 1-1 ქულა.

**„ი" ჯგუფი.** „კირიათ შმონა" – „ლიონი" 3:4, „სპარტა" – „ბილბაო" 3:1.

„ლიონი" – 6, „სპარტა" – 3, „კირიათ შმონა", „ბილბაო" – 1-1 ქულა.

**„კ" ჯგუფი.** „ლაციო" – „მარიბორი" 1:0, „პანათინაიკოსი" – „ტოტენჰემი" 1:1.

„ლაციო" – 4, „მარიბორი" – 3, „ტოტენჰემი" – 2, „პანათინაიკოსი" – 1 ქულა.

**„ლ" ჯგუფი.** „რუსენბორგი" – „ლევერკუზენი" 0:1, „მეტალისტი" – „რაპიდი" 2:0.

„მეტალისტი", „ლევერკუზენი" – 4-4, „რუსენბორგი" – 3, „რაპიდი" – 0 ქულა.

**„მ" ჯგუფი.** „ჰანოვერი" – „ლევანტე" 2:1, „ჰელსინგბორგი" – „ტვენტე" 2:2.

„ჰანოვერი" – 4, „ლევანტე" – 3, „ტვენტე" – 2, „ჰელსინგბორგი" – 1 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

„ელ კლასიკოს" წინ

# ესლა აკლდათ



**უკვე გაუწყეთ, რომ სამშაბათს ლისაბონში „ბენფიკასთან" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის პრინციპულ მატჩში მოპოვებული გამარჯვება – 2:0 „ბარსელონას" საკმაოდ ძვირად დაუჯდა: ხვალ მადრიდის „რეალთან" გასამართ „ელ კლასიკოს" კარლეს პუიოლი გამოტოვებს, რომელმაც პორტუგალიის დედაქალაქში ხელი მოიტეხა.**

ხომ გსმენიათ – გაჭირვებულს ქვა ალმართში დაეწიაო. თითქოს კაპიტნის ტრავმა საკმარისი არ ყოფილიყოს, კატალონიელთა ბანაკიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, სათუოა „კამპ ნოუზე" „ბროწეულისფერთა" დაცვის კიდევ ერთი ბურჯის ხერარდ პიკეს თამაშიც.

თუმცა, მასპინძელთა ქომაგებს გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველი გუნდის თავკაცის ტიტო ვილანოვას სიტყვებმა მისცათ: ექიმებმა მითხრეს, რომ პიკეს ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. მართალია, თერაპიული კურსი კარგ შედეგებს იძლევა, მაგრამ მაინც არ ვარ დარწმუნებული, რომ „სამეფო კლუბთან" საბრძოლველად სრულ მზადყოფნაში იქნება. ყველაფერი შაბათს გადაწყდება.

**მანუჩარ გიორგაძე**



ხსოვნა

# დაფერფლილი გული

## ტკივილიანი გამოთხოვება ციცო წიტაიშვილთან



ჩვენს დიდ ეზოში, რომელსაც აგერ უკვე ორი ათეული წელია, მთელი საქართველო მერაბ კოსტავას ეზოდ მოიხსენიებს, ერთი ოჯახივით ვცხოვრობთ ამ ეზოს მკვიდრნი და აქ თავმოყრილი რამდენიმე დაწესებულების თანამშრომლები. ამ თანაცხოვრებას დიდი ხნის ისტორია აქვს და მას საფუძველი აწ უკვე გარდასულმა დიდმაეზოელებმა ჩაუყარეს. საერთო გვაქვს სადარდებელიც და სასიხარულოც... მეტადრე საწუხარი...

ჩვენი ციცოს გარდაცვალება ყველასათვის ელდა იყო, რადგან მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და მოულოდნელი რა არის, მაგრამ ჩვენი დიდი ოჯახის ამ ვერცხლისწყალივით მოცქრიალე და მოუსვენარ პატარა დიასახლისს სასიკვდილოს ვერაფერს ვამჩნევდით, მაგრამ ვცდებოდით თურმე მისი ოჯახის წევრები. შინ და გარეთ სხვებზე უანგაროდ და დაუზარებლად მზრუნველს, ფარვანასავით დაფერფლია გული სიკეთის ალთან თავდაუზოგავად მოფარფატეს.

ციცო წიტაიშვილი ინსტიტუტის მერხიდან მოვიდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-პედაგოგიურ ბიბლიოთეკაში სამუშაოდ. ამ ბიბლიოთეკის შესანიშნავმა კოლექტივმა, სადაც მაშინ ჯერ კიდევ მუშაობდნენ საბიბლიოთეკო საქმის კორიფეები, გულთბილად მიიღეს პატარა გოგო და სულ მალე დიდი ოჯახის სრულუფლებიან წევრად ჩათვალეს. იგი წლების განმავლობაში ემსახურებოდა სამკითხველო დარბაზს და არავის ახსოვს მკითხველის როელიმე მოთხოვნაზე უარი ეთქვა ან უგულოდ მომსახურებოდა ვინმეს. ამიტომ უყვარდა ყველას – პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებსაც და გარედან მოსულ მრავალრიცხოვან მკითხველებსა. გოგებაშვილის ბიბლიოთეკა უმდიდრესია, მაგრამ თუ რომელიმე მოთხოვნილი წიგნი გატანილი იყო ან საერთოდ არ მოიძებნებოდა ბიბლიოთეკის ფონდში, ციცო ისე შეწუხებული მოუბოდიშებდა ხოლმე მკითხველს, თითქოს ოჯახში სასესხებელზე მოსულ მეზობელს ეუბნებოდა უარს.

90-იანი წლების ძნელბედობისას, როცა საზოგადოება მტრულ ბანაკებად დაიყო და სამოქალაქო დაპირისპირება დაუნდობელ ომში გადაიზარდა, ჩვენი ეზო საბედისწერო მოვლენების ერთ-ერთ ეპიცენტრად იქცა. ძნელი იყო მაშინ ყველასთან კეთილგანწყობა შეგენარჩუნებინა. ციცო კი ინარჩუნებდა ამას. იმიტომ კი არა, რომ პოზიცია არ ჰქონდა, ყველა უყვარდა, ყველას ტკივილს განიცდიდა და ამიტომ. გრძნობდნენ ადამიანები ამას და მის თანაზიარობას სიყვარულით პასუხობდნენ.

...წავიდა ჩვენი ციცო ამ მოკლე წუთისოფლიდან იმ მარადიულ საუფლოში და თან გაიყოლა მეგობრების, თანამშრომლების, მადლიერი მკითხველების ალალი ცრემლები, რაც მისი ოჯახის ღრმა მწუხარებასთან ერთად მიაცილებს მას აღსავლის კარამდე. აქ კი დაგვრჩა მისი ლოცვასავით კეთილი სახელი და ტკივილიანი მოსაგონარი.

ნათელი დაადგეს მის სულს იმ სამკვიდროში.

**მეგობრები**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება ღრმა სამძიმარს უცხადებს განყოფილების სწავლულ მდივანს ზეინაბ წინწკალაძეს დედის ქალბატონ

**რუსუდან წინწკალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალერი ასათიანი ოჯახით გამოხატავს დიდ გულისტკივილს ძვირფასი მეგობრის, თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის

**თეიმურაზ კომახიძის**

გარდაცვალების გამო და გულითადად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

53-ე საშუალო სკოლის (ყოფილი მე-7 ვაჟთა) 1955 წლის კურსდამთავრებული კლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნებისა და კეთილშობილი მეგობრის

**კოტე ხატისკაცის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ძვირფას ოჯახს.

---

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** გთხოვთ, განგვიმარტოთ, საიდან განისაზღვრება (რომელი ხელფასიდან) დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება?

**ნაირა ქობალია**

**პასუხი**: საქართველოს შრომის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზრაურებიდან.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.

---

დედაქალაქი ერთია!

# „დღეგრძელი იყოს ის თბილისელი!.."

## ანუ ვის ეკუთვნის თბილისობის დღესასწაულის დაარსების იდეა?



**თბილისობის დღესასწაული, რომელიც 1979 წლიდან ყოველწლიურად (თუ არ ჩავთვლით 1989-94 წლებს) იმართება, ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა, არა მარტო თბილისში მცხოვრებთათვის, არამედ - მთელი საქართველოსთვის. გახსოვთ, ალბათ, ალექსანდრე ბასილაიასა და ჯემალ ბაღაშვილის თბილისობისადმი მიძღვნილი შესანიშნავი სიმღერა, „თბილისობა", თემურ წიკლაურისა და ანსამბლ „ივერიას" შესრულებით, სადაც ასეთი სიტყვებიცაა:**

**„დღეგრძელი იყოს**
**ის თბილისელი,**
**ვინც ჩვენი ნატვრა საქმედ აქცია**
**და ოქროსფერი დღე**
**შემოდგომის**
**დღესასწაულად გადააქცია!.."**

ეს ყველაფერი – კარგი და მშვენიერი, მაგრამ მაინც... ვის ეკუთვნის თბილისობის დღესასწაულის დაარსების იდეა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია, თუ გავეცნობით ცნობილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ გვანჯი მანიას მიერ გაზეთ „თბილისში" 1976 წლის 5 ნოემბრის ნომერში „საკითხის დასმის წესით" (სქოლიოში ასეთი მინაწერი აქვს!ძ გამოქვეყნებულ წერილს – „დაწესდეს ახალი დღესასწაული".

წერილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს თბილისის წარსულსა და აწმყოს, ყოფას, ტრადიციებს, მომავალს და გვთავაზობს:

„...საჭიროა მხოლოდ ერთი იდეა, ერთი მიზანი, ერთი დღე, რომ ყველა მიიზიდოს, გააერთიანოს, გამოავლინოს ყველას შემოქმედებითი ნიჭი, უნარი და ფანტაზია.

ყველაფერი ეს ხელეწიფება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი შეიძლება და უთუოდ უნდა გახდეს თბილისის დღე – თბილისობა.

...მოდით, ვიყოთ უფრო გულისხმიერნი, დავაწესოთ და ამიერიდან ყოველი წლის ოქტომბერში – ლეგენდარულ ხოხობზე ნადირობის ჟამს – აღვნიშნოთ თბილისის დღე!

... ამ დღეს მილიონიანი ქალაქის თითოეული მოქალაქე, თითოეული საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, თითოეული თბილისური სახლი ჩააბარებს ერთი წლის საქმიანობის მართალ ანგარიშს: რა შექმნა, რა გააკეთა, რით გაამშვენიერა დედაქალაქი...

ამ დღეზე მთელ წელიწადს იფიქრებს და იშრომებს თითოეული თბილისელი და თბილისის ყველა გულშემატკივარი..."

ამ წერილს გაზეთ „თბილისის" გვერდზე უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. ერთ-ერთი გამოხმაურების ავტორი თავადაც გახლდით. ბუნებრივია, თბილისელები, გაზეთის მკითხველები იწონებდნენ ამ იდეას და მხარს უჭერდნენ ამ საერთო-სახალხო ზეიმის დაარსება-დამკვიდრებას.

რა თქმა უნდა, ქება და დიდება ყველა იმათ, ვინც შემდგომ ამ იდეას ხორცი შეასხა და დღეგრძელობა მათ, როგორც სიმღერის ტექსტშია, მაგრამ იდეის ავტორის დავიწყებაც არ ეგების, მით უმეტეს, როცა ის გახლავთ ცნობილი ჟურნალისტი, ეკოლოგი, მოგზაური და მხარეთმცოდნე გვანჯი მანია – ენციკლოპედიური განათლებისა და დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი, თბილისისა და ჯვარის (სადაც დაიბადა 1939 წლის 23 აგვისტოსძ ნამდვილი კოლორიტი. ჟურნალისტურ, ლიტერატურულ, სამეცნიერო და მოგზაურთა წრეებში, ალბათ, იშვიათად თუ იქნება ადამიანი, გვანჯი მანიას რომ არ იცნობდეს. 2003 წელს გამომცემლობა „განათლების„ გრიფით გამოცემულ ენციკლოპედიურ ცნობარში – „ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი", გვანჯი მანიას მიერ განხორციელებულ იდეებს, საქმეებს, საინტერესო წამოწყებებს, მოგზაურობების ჩამონათვალს სრული ორი გვერდი უკავია...

თბილისობის, ამ მართლაც სახალხო დღესასწაულს, მრავალი ლამაზი ცერემონიალი ამშვენებს; ერთ-ერთი, უთუოდ, „საპატიო თბილისელის" არჩევაა! როგორც ინტერნეტში გადავამოწმე, თბილისობა სულ 27-ჯერ ჩატარებულა და ამ დღესასწაულზე 212 „საპატიო თბილისელი" აგვირჩევია. ჩემი აზრით, კურიოზიც კია, რომ ამდენ „საპატიო თბილისელთა" შორის არ არის თბილისობის იდეის ავტორი!

კარგი იქნება, თუ ამას წლევანდელ თბილისობაზე გავითვალისწინებთ და საპატიო თბილისელთა შორის ვიხილავთ თბილისობის დღესასწაულის იდეის ავტორს ბატონ გვანჯი მანიას.

თქვენ რას იტყვით?

**მურად ჭანტურია,**
**მწერალი, პუბლიცისტი.**





დაწესდეს ახალი დღესასწაული

**სურათზე**: **გვანჯი მანია (მარჯვნიდან პირველი) – ერთ-ერთი ღონისძიების სტუმარი მშობლიურ ქალაქ ჯვარში; გ. მანიას საკითხის დასმის წესით გამოქვეყნებული წერილი 1976 წლის 5 ნოემბრის გაზეთ „თბილისში".**

## თბილისობა

# ძველი ხევის „მეორედ მოსვლა“



ბოლო წლებში თბილისი არნახულად რომ დამშვენდა და გაკოპწიავდა, დედაქალაქის ყოველი დღესასწაულის – თბილისობისთვის – ახალი შესანიშნავი კულტურულ-დასასვენებელი ადგილები რომ ემატება ქვეყნის გულს, ამას ყველანი თვალნათლივ ვხედავთ, ამასვე უსვამენ ხაზს ჩვენი დიდი ხნის წინათ წასული და ახლა უკან მობრუნებული თანამემამულენი.

წლევანდელი თბილისობის დღესასწაულისთვის ერთიანად იცვლის იერს დედაქალაქის უძველესი და გამორჩეული კოლორიტის მქონე აბანოთუბანი. წლების წინათ აქ, ცნობილი ჭრელი აბანოს შორიახლოს, ხევი ჩამოდიოდა, რომლითაც ბოტანიკური ბაღის ღელეს წყალი ჩაედინებოდა მტკვარში, თან მიწის წიაღიდან ამოსული გოგირდიანი წყალიც ერეოდა. ათეული წლების წინათ თბილისში ნაგვის გატანის საკითხი მოუწესრიგებელი იყო, ადგილობრივი მცხოვრებლები საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ხევში ყრიდნენ, რაც, ბუნებრივია, მიუღებელი იყო. ამიტომაც გადაწყდა ხევის ხელოვნურ კალაპოტში ჩასმა და შემდგომ მისი გადახურვა. ამრიგად, საყოფაცხოვრებო პრობლემა კი გადაიჭრა, მაგრამ მას იქ დიდი ხნის წინათ ძველებური ქართული ბრტყელი აგურით ნაშენი ლამაზი თაღები და კედელი „გადაყვა“ და წლების მანძილზე ნაყარი მიწისა და ბეტონის ქვეშ იყო მოქცეული. ახლა კი, აბანოთუბნის ერთიანი სარეკონსტრუქციო პროექტის ფარგლებში, ხევს ბეტონის გადახურვა მოხსნეს, შემდეგ 10 ათას კუბურ მეტრზე მეტი მისი ნამსხვრევი, ასევე 20 ათასი კუბური მეტრი ნაყარი მიწა გაიტანეს და ისევ გამოიხედა თვალში ძველმა ნაშენმა!





ამჟამად ჭრელ აბანოსთან „აღდგენილ“ ხევში ფეხით მოსიარულეთათვის ლამაზად მოპირკეთებული ქვაფენილი დააგეს, იქაურობა კი ქალაქის ძველი კოლორიტის შესაფერისმა ინფრასტრუქტურამ დაამშვენა.

**ოთარ ტურაბელიძე**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### გაიაფების რიგითობა: საწვავი, კომუნალური ტარიფები, მედიკამენტები, ტრანსპორტი...

ხელისუფლებაში ოფიციალურად მოსვლის შემდეგ „ქართული ოცნება“ პირველ ეტაპზე საწვავის ფასს გადახედავს და დაახლოებით 20 თეთრით მის გაიაფებას შეეცდება. შემდეგ დადგება ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფების, პირველადი მოხმარების პროდუქტზე ფასების და მედიკამენტების რიგი. კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან იზორია ირწმუნება, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ოფიციალურად მოსვლის შემდეგ ბაზარზე მონოპოლია აღარ იარსებებს და კონკურენტუნარიანი გარემო კომპანიებს იძულებულს გახდის, მომხმარებელს მომსახურება გაცილებით დაბალ ფასად შესთავაზონ.

„რეზონანსი“

### გიორგი თარგამაძე ხელისუფლების გაკონტროლებას აპირებს

მას, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ დავით გამყრელიძესავით გიორგი თარგამაძეც დატოვებდა საკუთარ პარტიას, პოლიტიკას და ჩრდილში გადაინაცვლებდა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

გიორგი თარგამაძე არ აპირებს დიდი პოლიტიკიდან წასვლას და თუნდაც ჟურნალისტიკაში დაბრუნებას. პირიქით, ის შეეგუება საპარლამენტო არჩევნებში მარცხს. ახლა გახსნილად საუბრობს მარცხის მიზეზებზე, თან იმედიანად ამბობს: „ჩვენ კიდევ დაგვრჩენია საბრძოლო ასპარეზი საკრებულოში ხელისუფლების გასაკონტროლებლად და ასევე მოვემზადებით ახალი არჩევნებისთვის“.

„ახალი თაობა“

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს – 247-57-79.

## კადრი



## ანეკდოტები

– გამარჯობათ, როგორა ხარ?

– ძალიან დავიღალე.

– რას აკეთებდი?

– დავრბოდი. ბევრი ვირბინე, ვირბინე, ვირბინე, მერე კი სექსი იყო.

– ესე იგი, დაგწევიან...

* * *

ვასილ ივანიჩი პატარა შვილთან ერთად სეირნობს.

– მამი, ესკიმო მინდა! – გაუთავებლად იმეორებს ბავშვი.

– შვილო, მეც მინდა ესკიმო, მაგრამ გაიგე, რომ ფული მხოლოდ არყისთვის გვეყოფა!



14-დან 17 წლამდე – ისწავლე, სეირნობას მუდამ მოასწრებ.

17-22 – ისწავლე, მერე ისეირნებ.

22-30 – კარიერისთვის იზრუნე, მერე ისეირნებ.

30 – კმარა სეირნობა, დროა დასერიოზულდე და ჭკუაში ჩავარდე.

* * *

– აბრამ, რა არის ბედი?

– ბედია, თუ ქუჩაში მიდიხარ და თავზე აგური დაგეცემა.

– თუ აგცდება?

– ესე იგი ბედი არ ყოფილა.

* * *

42 წლის გაუთხოვარი ბიბლიოთეკარი ოცნებობს, რომ მოვიდეს ვინმე მკითხველი, წაიყვანოს იგი ათი დღით და ძალიან გაცვეთილი დააბრუნოს.

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24